

140

1977



# სიმბოლო

4

1977



# უახლესი უახვეური აქ უახვენი...

**თ**ელავის რაიონი.  
სოფელი ფშაველი.

ახმეტა-ყვარლის გზატკეცილის ორსავე მხარეს მზეს მიჰფიცებთან ორსართულიანი შენობები. ხოლო სოფლის დასასრულს ჩაყრუებულის მინდვრებისა და გრძელი ველების სამზირთან თეთრად აქათქათებულა სკოლის შენობა. აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეული, კახელი ბრძენკაცივით გასცქერის ვენახოვან თვალსაწიერს, თითქოს ამ ზვრებისა და ველების სვე-ბედზე ჩაფიქრებულაო.

ეს ალგორიული შედარება, თუკი ღრმად ჩაუყვირდებით, არცთუ დიდად უნდა იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ ბოლო წლებში, მეტადრე სოფლის სკოლებმა, ტრადიციულად დანათლული საგანმანათლებლო ფუნქციები ერთბაშად გაიფართოეს, რაიონისა და სოფლის ცხოვრების აქტიური მონაწილენი გახდნენ, ინტელიგენციის კადრებთან ერთად, სკოლამ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებაც ითავა.

ახლა სკოლის მონაწილეობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების თუ კულტსაგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებათა ჩატარება...

ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების დღევანდელ პირობებში, როცა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად მუშახელის განთავისუფლებაზე ვამყარებდით იმედს, როცა სოფ-

ლის მეურნეობის ტექნიკური რუკაზე არ დარჩა მანქანათმშენებლის მიერ აუთვისებელი თითქმის არც ერთი დარგი, ყველასდამოულოდნელად ისე მოხდა, რომ სოფლად სწორედ სპეციალისტების ნაკლებობა გახდა საგრძნობი. ძალის თავი კი არნახული მიგრაციის პროცესში უნდა გვექებნა. ქალაქად ლტოლვის სურვილმა მართლაც რომ ყველა მოლოდინს გადააჭარბა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სოფლად მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მუშათა და სპეციალისტთა დეფიციტი სასწრაფოდ უნდა შევსებულიყო. მთავარი როლი ამ საქმეში სკოლას დაეკისრა.

1970 წლიდან თელავის რაიონში პირველად ფშავლის საშუალო სკოლაში დაიწყეს მანქანა-იარაღებისა და, კერძოდ, ტრაქტორის, როგორც ცალკე დისციპლინის, შესწავლა. მართალია, მანქანა-იარაღების კურსს აღრეც გადიოდნენ სკოლებში, მაგრამ იგი ატარებდა თეორიულ, ზოგად ხასიათს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ფშავლის საშუალო სკოლის დირექტორი **გიორგი როსტომაშვილი**:

მართლაც, 1970 წლიდან სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადების მხრივ ჩვენს სკოლაში დიდი გარდაქმნა მოხდა. სკოლას იმ დღიდანვე თეორიული სწავლებისათვის გამოეყო ჩამოწერილი „ტ-75“ ტიპისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ახალი „ტ-25“ ტიპის ტრაქტორი. სკოლაში შეიქმნა სათანადო სტენდებითა და სათადარიგო ნაწილებით აღჭურვილი სპეციალური კაბინეტი. ერთი სიტყვით, ხელი მოვკიდეთ ტრაქტორისტების მომზადებას. მართალია, ზოგადად სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებსაც გადიან მოსწავლეები, მაგრამ ძირითადად ჩვენი სპეციალიზაციაა ტრაქტორები... ბავშვების თეორიულ და



**პირონ ხარბიანი**  
ფოტო ვ. ბორისენკოსი



**\* გოგოლავის მოვლა სახლისოცაა და ძნელიც... პატარა ბავშვებით იციან ხშირად პირველყოფა.**

პრაქტიკულ მომზადებას სამი სპეციალისტი ემსახურება...

**სოსო მოხიძე**, — სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სწავლების ინსტრუქტორი:

ჩვენს დირექტორს, პატივცემულ გიორგის, მოერიდა მოპოვებულ წარმატებაზე ლაპარაკი. სინამდვილეში კი ფშავლის საშუალო სკოლაში შრომითი აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის იგი შრომის წითელი დროშის ორდენით გახლავთ დაჯილდოებული.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე კი, რომლის ექვსგზის მონაწილეა ჩვენი სკოლა, ექვსი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, ხოლო რესპუბლიკურ კონკურსში — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ — 72 მოსწავლე დაჯილდოვდა...

ჩვენი სკოლის საერთო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1974 წელს პიატიგორსკში გამართულ ნორჩ მექანიზატორთა საკავშირო შეკრებაზე ჩვენი რესპუბლიკიდან სულ ათნი იყვნენ წარგზავნილნი, მათ შორის სამი ფშავლის საშუალო სკოლის წარმომადგენელი გახლდათ.

**მანქანა-იარაღების სწავლების ინსტრუქტორი სოსო მოხიძე მორიგ გაკვეთილს უბარებს ნორჩ მექანიზატორებს.**



ქობულეთის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა მეგობრობის ყოფია. ქობულეთელმა თანატოლებმა ჩაის ნერგები გამოგვიგზავნეს, და აი პირველად კახეთის სინამდვილეში ფშაველმა პიონერებმა დარგეს და გაახარეს ჩაის კულტურა. უნდა ითქვას, რომ იგი უკვე შეეგუა

წლების განმავლობაში აქვს მიღებული ფშავლის საშუალო სკოლასა და მის აღსაზრდელებს. ამ სტენდზეა მოცემული ის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთა მოყვანისთვისაც მიუყვიათ ხელი ნორჩ მექანიზატორებს.

დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება კახეთის პირობებისათვის ერთობ უჩვეულო ჩაის პლანტაციის ფოტოსურათი, რომელიც აღნიშნულ სტენდზეა გამოკრული.

დირექტორმა, ეტყობა, შემატყოვოცება:

— ჩვენი სკოლის პიონერებს მეგობრობა აკავშირებთ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის ბავშვებთან. ეს ჩაის მცირე პლანტაციაა კი, ამ სურათზე რომ არის წარმოდგენილი, ჩვენი ბავშვებისა და

აქაურ გარემო პირობებს, მართალია, ჩვენს „პლანტაციას“ რაიმე სამეურნეო მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ ბავშვების ცნობისმოყვარეობას მართლაც რომ მშვენივრად აკმაყოფილებს, და არა მარტო ბავშვებისას, აქ უფროსებიც კი მოდიან მის სანახავად. ერთი სიტყვით, ფშაველურმა ჩაიმ სამუზეუმო ექსპონატის მნიშვნელობა შეიძინა...

სკოლის ეზოში ბავშვები სა-მოსწავლო ტრაქტორს შემოხვეოდნენ. მალე სათითაოდ გავეცანი მათ. ნორჩი მექანიზატორების ნათქვამი ჩავიწერე კიდეც.

**თამაზ ბურღიაშვილი**, — მეათე კლასის მოსწავლე:  
ჩვენს სკოლაში ჩამოყალიბებუ-



## პიონერი

### 4

### პერიდი

### 1977

საქართველოს ალკ. მკ. -ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კა. მკ.-ის გამომცემლობა

პ. მარქსის სხვადასხვა სტენდების ინსტრუქტორი სოსო მოხიძე



**გივი ჭინჭარაშვილი, —** მეთათე კლასის მოსწავლე:

ადრე ჩვენებურები ზურგის აპარატით ასხურებდნენ წამალს ვენახებს. მახსოვს, რა დამქანცველი და შრომატევადი იყო შეწამვლის პროცესი. ახლა კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ: მშვიდობით, ზურგის აპარატო! ამჟამად გამოშვებულია ისეთი ტრაქტორი, რომელიც ერთი გავლისას ორგვარ პროცესს ატარებს — აფხვიერებს და ასხურებს კიდეც წამალს. მიყვარს ასეთ ტრაქტორზე მუშაობა!

**ნანა აღლინაშვილი, —** მეშვიდე კლასის მოსწავლე:

უმცროსებს და განსაკუთრებით გოგონებს დამხმარე სამუშაოებზე უფრო გვიყენებენ ხოლმე. ეს მანქანიდან ხორბლის გადმოტვირთვაო, ეს ბუნკერიდან ჩამოცლილი მარცვლის გასწორებაო, ათასი საწვრილმანო საქმე, გასაქცევ-გამოსაქცევი რამეები სულ ჩვენს კისერზე გადაღის, მგარამ, რას იზამ, თავის დროზე „უფროსებიც“ ხომ ამ დღეში იყვნენ, თანაც ჩვენც ხომ ვიქნებით მალე დიდები... ამას ვხუმრობ, რა თქმა უნდა, სინამდვილეში კი, კაცმა რომ თქვას, იმათზე ნაკლები საქმე არც ჩვენ ვგაბარია, ყველასთვის ცნობილია, რა დიდი ყურადღება ექცევა ამჟამად მოსახლეობის ბოსტნეულით მომარაგებას. ჩვენ კი ვაპირებთ გვაქვს კოლმეურნეო-

ლია საწარმოო ბრიგადა, რომელიც ოთხი რგოლისაგან შედგება და სულ 106 მოსწავლეს აერთიანებს. შარშანდელი წლის ზაფხულ-შემოდგომისათვის კოლმეურნეობასთან დადებული გეგმონდა ხელშეკრულება. უნდა გამოგვემუშაებინა 2 500 მანეთი. საქმისათვის მოწადინება არ დაგვიკლია მე და ჩემს ამხანაგებს — გივი ჭინჭარაშვილს, ალექსი მჭედლიშვილს, ნონა ბარძიმაშვილს. მართა ბერიკიშვილს, მანანა რაიბულს, თამარ ღოღობერიძეს, თემურ ამირეჯიბს, ვლადიმერ რამაზაშვილსა და სხვებს.

მე, პირადად, 280 ტონა ხორბალი გავლექე, 180 მანეთი გამოვიმუშავე. ამასთანავე შრომადღეების ანგარიშში 500 კილოგრამი ხორბლის მარცვალს მერგო... ერთი სიტყვით, კოლმეურნეობასაც გამოვადექი და ოჯახსაც დოვლათი შევმატე...

**ალექსი მჭედლიშვილი, —** მეთათე კლასის მოსწავლე:


მამაჩემიც ტრაქტორისტია. მეც მშობლის კვალს მივსდები გავყვე. ეს საქმე სახალისოც არის და საძნელოც. მამისაგან ხშირად გამიგონია, რომ ტრაქტორის მართვა კარგად მართვა ძალიან ცოტა რამეს ნიშნავს. ტყიდან მორები რომ იყოს გამოსაზიდი, იქაც კი ბუნების სიყვარულის გრძნობა უნდა ჰქონდეს ტრაქტორისტს, ნორჩი ბაყილოები და ბუჩქები არ უნდა დაახიანოს, ზედ არ გადაატაროს დაუდევრად მანქანა, როგორც ამას ბევრნი აკეთებენ. ხოლო რაც შეეხება ერთწლიანი ვენახის კულტივაციას (სამჯერ ტარდება წელიწადში), მოსავლიან ვენახში მინერალური სასუქის შეტანასა და

სპეციალური აპარატით მის შეფრქვევას, ანდა ხეხილის ნარგავების მოხვნასა და ბორდოს ხსნარით ვენახის შეწამვლას... აქ ხომ მართლაც ასი თვალი უნდა გამოიბას ადამიანმა; ნაოფლარ-ნალოლიაუები ვაზები და ხეხილი ვაზის სატერფულზე ფეხის ერთმა უზომოდ დაჭერამ შეიძლება გაანადგუროს. მაგრამ ასი თვალიც ვერაფერს უშველის უგულო და ხელჩაქნეულ ადამიანს. სწორედ რომ ჩვენს საქმეში მხოლოდ მიწისა და ვაზის მოსიყვარულე კაცი თუ ივარგებს, გულიანი, კაცური კაცი...

**გიორგი როსტომაშვილი:**

ტრაქტორის სწავლება, როგორც მოგეხსენებათ, მეცხრე კლასიდან იწყება. მაგრამ დგება საკითხი, რითი დავასაქმოთ მეშვიდე, მერვე და უფრო დაბალი კლასის მოსწავლეები და ბავშვთა ის კონტინგენტი, რომელთაც მანქანა-იარაღებზე მუშაობა „არ გამოსდით“? მხედველობაში მყავს გოგონების უმრავლესობა...

მათთვის შევქმენით ცალკე ბრიგადები. ერთ-ერთი ასეთი ნორჩ მეცხვარეთა ბრიგადა ვახლავთ. გასულ არდადეგებზე, მაგალითად, ჩვენი სკოლიდან 28 მოსწავლე მიმავრებული იყო მეცხვარეობის ფერმაში. ბიჭები საქონელს მწყემსავდნენ, გოგონები კი მწველავებდად მუშაობდნენ. ბრიგადის წევრებიდან სამი — შოთა ბექურაძე, ნოდარ ბორშიძე და დავით ჭვრიტიძე სკოლის დამთავრების შემდეგ მწყემსებად წავიდნენ მთათუშეთის იალაღებზე. ასევე დები ტყუბები — ესმა და ბაბულია ტეტიაშვილები იქვე დარჩნენ სამუშაოდ.



**კახეთი და ჩანის ბუჩქი?!**

ბაში ბოსტნეულის ნაკვეთი, რა არ მოგვეყავს ამ ნაკვეთში, და თანაც საუკეთესო ხარისხისა...

**ლია მოხიძე**, — მეათე კლასის მოსწავლე:

ჩვენს სოფელში თითქმის არცა გვეყვანან უსაქმურები. ვაზს უსაქმური არ უყვარს. ყველას ექნება ყურძენი, ყველას ექნება ღვინო, ყველას ექნება ჩურჩხელა, უსაქმურს კი — არა. ვაზი შრომის დამფასებელია, ზარმაცსა და უქნარას მწარედ აზღვევინებს. ჩვენებურ კაცს მუცლიდან დაჰყვა მისი სიყვარული და ამიტომ არც ეზარება მოვლა-პატრონობა. ეს ამბავი იქიდანაც ჩანს, რომ სკოლის დამთავრების მერე ბევრი ჩვენგანი აქვე, მშობლიურ სოფელში აპირებს დარჩენას. უფროსკლასელთაგან ბევრი მოიქცა ასე და არც წაუგია რამე. ადრე ყველა ქალაქში გარბოდა, თავში ეყარა რამე თუ არა, მაინც იქითკენ ეწეოდა გული, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა.

— მაინც რა გადავიწყვეტით შენ და შენს ამხანაგებს? — შევაწყვეტინე საუბარი ლიას, — სკოლის დამთავრების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?

გოგო არ დაბნეულა. ოღონდ ეს იყო, ჯერ თანატოლებს გადახედა, თითქოს იმათ სახეზე ამოიკითხა თავისი გულისხმის დასტური და მერე მამამალა განაცხადა:

— ჯერ, რა თქმა უნდა, ბედს ვცდით, ჩვენ ჩვენი გზებით გავეშურებით ქალაქად, თუ იმედი არ გავვიმართლდა, აქ დავბრუნდებით და ამ მამაპაპისეულ ზვრებს ვუპატრონებთ.

**სოსო მოხიძე:**

ლია მართლაც ამბობს. ხანდახან ისეც ხდება, და არცთუ იშვიათად, რომ რაიმე წამოწყება, ზემდგომი ორგანოებიდან მოსული ახალი ინიციატივა თუ ღონისძიება ხშირად ქალაქად უნდა წახილოს. რაც შეეხება სკოლებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტების — ნორჩი მექანიზატორების მომზადების იდეას, მართლაც რომ მოლოდინი გაამართლა, ყველას ერთნაირად მოეწონა, — მოსწავლეებსაც, მათ მშობლებსაც, კოლმეურნეობის და, საერთოდ, რაიონის მესვეურთაც. ყველა მხარეს საკმაოდ ჩამოყალიბებული არგუმენტები აქვს საამისოდ და მე მგონია, დღევანდელი ჩვენი საუბრიდან გამომდინარე ყველასათვის ნათელი გახდა ამ მოსაზრებათა უტყუარობა. რა თქმა უნდა, აქ გარკვეულ

როლს ასრულებს დღევანდელი შრომითი განწყობილებაც, მაგრამ მთავარი მაინც ბავშვების დინტერესებაა. მხედველობაში მაქვს ის ამბავი, რომ სწავლის პარალელურად მათ საშუალება ეძლევათ ტრაქტორისტის წიგნაკი აიღონ და ეგრევე შეიძინონ ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და აუცილებელი მძღოლის პროფესია.

ვიმსჯელოთ ფაქტებით: 1973 წელს (პირველი გამოცემა) ტრაქტორისტის ხელობას დაუფლა 50 მოსწავლე, 1974-ში — 42. მომდევნო ორი წელიწადში კი შესაბამისად 52 და 53 მოსწავლე.

**გიორგი როსტომაშვილი:**

შედეგი კიდევ უფრო უკეთეს გვექნებოდა, სწავლებაში ზოგიერთი დაუხვეწელი მომენტი რომ არ გავგაჩნდეს. ახლავე აგისხნით ყველაფერს. როცა მოსწავლე ამთავრებს საშუალო სკოლას, იგი ჩვეულებრივად სხვა საგნებთან ერთად აბარებს გამოცდას მანქანათმცოდნეობაში, ამის მერე, ნიშნის მიუხედავად, წიგნაკი რომ მიიღოს, დამატებით უხდება გამოცდების ჩაბარება, ანდა პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლის განგრძობა, რაც ერთგვარად ანელებს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობასა და ამ ხელობისადმი ინტერესს. მრავალსაფეხურიანობა ამ შემთხვევაში არ მიგვაჩნია გამართლებულად. თუკი მოსწავლემ ხუთიანზე ჩააბარა საგანი და პრაქტიკულადაც დაუფლებულია ამ დისციპლინას, რაღა ხელახალი სწავლება სჭირდება? ბავშვი ფრთხილად და ხშირად ხელს ჩაიქნევდა ხოლმე სწავლის გაგრძელებაზე. ამჟამად კი ეს საკითხი დაისვა და ამიერიდან სკოლას უფლება მიეცა ნორჩ მექანიზატორებს გამოცდის ჩაბარებისთანავე გადასცეს მძღოლის წიგნაკი. წარმოდგენილი მაქვს, რა სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოიწვევს ბავშვებში მისი საზეიმოდ გადაცემის მომენტი... და არა მარტო ბავშვებში, მეც, როგორც დირექტორს, დიდად მეამება ამ სასიამოვნო პროცესის აღსრულება. მართლაც, ხუმრობა საქმე ხომ არ არის — ერთი მოსიყვარულე და გულშემატკივარი კიდევ შეემატა ჩვენს ზვრებსა და ვენახებს, ერთი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდაც დაადგა შრომისა და შენების, წესიერი, ალამმართალი ცხოვრების მამა-პაპურ გზას... — გიორგის სახე ღიმღიმა

გაუბადრა, სიხარულჩამდგარი თვალები გადაშლილ ველებზე მარტო რა...

მეც გადამედო ჩემი მასპინძლის განწყობილება. ყოველივე აქ მოსმენილი და გაგონილი ჩემთვისაც ახლობელი და მშობლიური იყო. მიხაროდა, რომ ფშაველეი ახალგაზრდები კი არ გაურბოდნენ, პირიქით, ეძალებოდნენ კიდევ შრომას, ახარებდნენ მშობლების გულს, საზოგადოებასა და მთელ ჩვენს ქვეყანას. მშვენივრად იცოდნენ ბავშვებმა, რომ



**ბახსმლასაც ოსტატის ხელი სპირდება.**

შრომას, პატიოსან გარჯას მოჰქონდა ყველა დროში სიკეთე და ბედნიერება ადამიანთათვის. ეს სიკეთე და ბედნიერება დიახაც რომ არ მოჰარბდებოდა ჩვენს სამშობლოს, პირიქით, მალამოდ მოეცებოდა კიდევ.

წუთით მეც წარმოვიდგინე, როგორ აახმურებდნენ და ააყრიამულებდნენ ჩაყრუებულის მინდვრებს აქაური ნორჩები, თვალისუსწრაფესად გადააშავებდნენ გაზაფხულობით მათი რკინის რაშები გრძელ ველების სანახებს, ბოლოს კი თითქოს ცხადლივ დავინახე ცამდე აზვინული ჩვენი სამშობლოს ხეავი და ბარაქა...

და გიორგის გვერდით გარინდებული, კახეთის სანახებს მზერაგადვენებული ვიდექი და ვლუმდი, ვიდრე სკოლის ზარმა ახალი გაკვეთილის მოახლოება არ გვაუწყა და ფიქრებიდან არ გამოგვარკვია ორივენი...

ბაში ბოსტნეულის ნაკვეთი, რა არ მოგვეყავს ამ ნაკვეთში, და თანაც საუკეთესო ხარისხისა...

**ლია მოხიძე**, — მეათე კლასის მოსწავლე:

ჩვენს სოფელში თითქმის არცა გვეყვანან უსაქმურები. ვაზს უსაქმური არ უყვარს. ყველას ექნება ყურძენი, ყველას ექნება ღვინო, ყველას ექნება ჩურჩხელა, უსაქმურს კი — არა. ვაზი შრომის დამფასებელია, ზარმაცსა და უქნარას მწარედ აზღვევინებს. ჩვენებურ კაცს მუცლიდან დაჰყვა მისი სიყვარული და ამიტომ არც ეზარება მოვლა-პატრონობა. ეს ამბავი იქიდანაც ჩანს, რომ სკოლის დამთავრების მერე ბევრი ჩვენგანი აქვე, მშობლიურ სოფელში აპირებს დარჩენას. უფროსკლასელთაგან ბევრი მოიქცა ასე და არც წაუგია რამე. ადრე ყველა ქალაქში გარბოდა, თავში ეყარა რამე თუ არა, მაინც იქითკენ ეწეოდა გული, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა.

— მაინც რა გადავიწყვეტით შენ და შენს ამხანაგებს? — შევაწყვეტინე საუბარი ლიას, — სკოლის დამთავრების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?

გოგო არ დაბნეულა. ოღონდ ეს იყო, ჯერ თანატოლებს გადახედა, თითქოს იმათ სახეზე ამოიკითხა თავისი გულისხმის დასტური და მერე ხმამაღლა განაცხადა:

— ჯერ, რა თქმა უნდა, ბედს ვცდით, ჩვენ ჩვენი გზებით გავეშურებით ქალაქად, თუ იმედი არ გავვიმართლდა, აქ დავბრუნდებით და ამ მამაპაპისეულ ზვრებს ვუპატრონებთ.

**სოსო მოხიძე:**

ლია მართლაც ამბობს. ხანდახან ისეც ხდება, და არცთუ იშვიათად, რომ რაიმე წამოწყება, ზემდგომი ორგანოებიდან მოსული ახალი ინიციატივა თუ ღონისძიება ხშირად ქალაქად უნდა წაიყვანოს. რაც შეეხება სკოლებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტების — ნორჩი მექანიზატორების მომზადების იდეას, მართლაც რომ მოლოდინი გაამართლა, ყველას ერთნაირად მოეწონა, — მოსწავლეებსაც, მათ მშობლებსაც, კოლმეურნეობის და, საერთოდ, რაიონის მესვეურთაც. ყველა მხარეს საკმაოდ ჩამოყალიბებული არგუმენტები აქვს საამისოდ და მე მგონია, დღევანდელი ჩვენი საუბრიდან გამომდინარე ყველასათვის ნათელი გახდა ამ მოსაზრებათა უტყუარობა. რა თქმა უნდა, აქ გარკვეულ

როლს ასრულებს დღევანდელი შრომითი განწყობილებაც, მაგრამ მთავარი მაინც ბავშვების დინამიკურებაა. მხედველობაში მაქვს ის ამბავი, რომ სწავლის პარალელურად მათ საშუალება ეძლევათ ტრაქტორისტის წიგნაკი აიღონ და ეგრევე შეიძინონ ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და აუცილებელი მძღოლის პროფესია.

ვიმსჯელოთ ფაქტებით: 1973 წელს (პირველი გამოშვება) ტრაქტორისტის ხელობას დაუფლა 50 მოსწავლე, 1974-ში — 42. მომდევნო ორი წელიწადში კი შესაბამისად 52 და 53 მოსწავლე.

**გიორგი როსტომაშვილი:**

შედეგი კიდევ უფრო უკეთესი გვექნებოდა, სწავლებაში ზოგიერთი დაუხვეწელი მომენტი რომ არ გაგვაჩნდეს. ახლავე აგისხნით ყველაფერს. როცა მოსწავლე ამთავრებს საშუალო სკოლას, იგი ჩვეულებრივად სხვა საგნებთან ერთად აბარებს გამოცდას მანქანათმცოდნეობაში, ამის მერე, ნიშნის მიუხედავად, წიგნაკი რომ მიიღოს, დამატებით უხდება გამოცდების ჩაბარება, ანდა პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლის განგრძობა, რაც ერთგვარად ანელებს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობასა და ამ ხელობისადმი ინტერესს. მრავალსაფეხურიანობა ამ შემთხვევაში არ მიგვაჩნია გამართლებულად. თუკი მოსწავლემ ხუთიანზე ჩააბარა საგანი და პრაქტიკულადაც დაუფლებულია ამ დისციპლინას, რადა ხელახალი სწავლება სჭირდება? ბავშვი ფრთხილად და ხშირად ხელს ჩაიქნევდა ხოლმე სწავლის გაგრძელებაზე. ამჟამად კი ეს საკითხი დაისვა და ამიერიდან სკოლას უფლება მიეცა ნორჩ მექანიზატორებს გამოცდის ჩაბარებისთანავე გადასცეს მძღოლის წიგნაკი. წარმოდგენილი მაქვს, რა სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოიწვევს ბავშვებში მისი საზეიმოდ გადაცემის მომენტი... და არა მარტო ბავშვებში, მეც, როგორც დირექტორს, დიდად მეამება ამ სასიამოვნო პროცესის აღსრულება. მართლაც, ხუმრობა საქმე ხომ არ არის — ერთი მოსიყვარულე და გულშემატკივარი კიდევ შეემატა ჩვენს ზვრებსა და ვენახებს, ერთი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდაც დაადგა შრომისა და შენების, წესიერი, ალმამართალი ცხოვრების მამა-პაპურ გზას... — გიორგის სახე ღიმილმა

გაუბადრა, სიხარულჩამდგარი თვალები გადაშლილ ველებზე რა...

მეც გადამედო ჩემი მასპინძლის განწყობილება. ყოველივე აქ მოსმენილი და გაგონილი ჩემთვისაც ახლობელი და მშობლიური იყო. მიხაროდა, რომ ფშაველელი ახალგაზრდები კი არ გაურბოდნენ, პირიქით, ეძალებოდნენ კიდევ შრომას, ახარებდნენ მშობლების გულს, საზოგადოებასა და მთელ ჩვენს ქვეყანას. მშვენივრად იცოდნენ ბავშვებმა, რომ



**ბასხვლასაც ოსტატის ხელი სჭირდება.**

შრომას, პატიოსან გარჯას მოჰქონდა ყველა დროში სიკეთე და ბედნიერება ადამიანთათვის. ეს სიკეთე და ბედნიერება დიასაც რომ არ მოჰკარბდებოდა ჩვენს სამშობლოს, პირიქით, მალამოდ მოეცებოდა კიდევ.

წუთით მეც წარმოვიდგინე, როგორ ახმაურებდნენ და ააჟიამულებდნენ ჩაყრუებულის მინდვრებს აქაური ნორჩები, თვალისუსწრაფესად გადააშავებდნენ გაზაფხულობით მათი რკინის რაშები გრძელ ველების სანახებს, ბოლოს კი თითქოს ცხადლივ დავინახე ცამდე აზვინული ჩვენი სამშობლოს ხევი და ბარაქა...

და გიორგის გვერდით გარინდებული, კახეთის სანახებს მზერაგადევნებული ვიდექი და ვლუმდი, ვიდრე სკოლის ზარმა ახალი გაკვეთილის მოახლოება არ გვაუწყა და ფიქრებიდან არ გამოგვარკვია ორივენი...

# «დავით აღმაშენებელი... სომელი»



ლევ პოდვოსკი

მოთხრობა

მხატვარი ზ. სამოილოვი

იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა და როგორ მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, მე უფრო მამაჩემის\* ნაამბობით ვიცოდი.

და მაინც ჩემი თვალთ ვნახე 1917 წელს პეტერში დატრიალებული ყველა ძირითადი ამბავი.

საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის-თავისათვის კინორეჟისორი ეიზენშტეინი, აი ის, რომელმაც შექმნა განთქმული ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, კინოსურათ „ოქტომბერს“ იღებდა. მამაჩემი ფილმის მთავარი კონსულტანტი იყო. მას მეც თან დავყავდი გადაღებაზე ლენინგრადში.

— მზად არის. მოტორი. დავიწყეთ! — იძლეოდა რუპორით განკარგულებებს ეიზენშტეინი.

და აი ვხედავ, როგორ ხვრეტენ ოფიცრები და იუნკრები ჩვიდმეტი წლის ივლისში პეტერელ მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დემონსტრაციას; ვხედავ, როგორ ფუსფუსებს სკასავით სმოლნი ოქტომბრის წინაღობებში; პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დავალებით როგორ მიემუშრებიან სხვადასხვა მხარეს წითელგვარდიელებით სავსე სატვირთო ავტომანქანები.

— ისტორიული მოვლენები რაც შე-

იძლება ზუსტად უნდა აისახოს, — ეუბნებოდა მამაჩემი ეიზენშტეინს. — შეძლებისამებრ უნდა იქნენ გადაღებული ოქტომბრის რევოლუციის იატაკქვეშელი მონაწილეები, გამოვკითხოთ, ვინ სად იდგა, საიდან ისროდნენ იუნკერთა ტყვიამფრქვევები...

1917 წლის ამბები კინოსურათ „ოქტომბერში“ ისეთი სიზუსტით არის ასახული, რომ ახლა ბევრ მის კადრს, როგორც დოკუმენტურს, ისე აჩვენებენ მუზეუმებში. ფილმში ოქტომბრის რევოლუციის მრავალი ცოცხალი მონაწილეა გადაღებული, რამდენსამე ეპიზოდში — მამაჩემიც.

მასხოვს, ზაფხულში იღებდნენ შემოდგომაზე მომხდარ ამბებს. სმოლნის ეზოში მანქანებით მოტანეს და მიმოფანტეს ხმელი ფოთოლი.

— როგორ გამოიყურებოდა სმოლნის დერეფნები? — აინტერესებდა ეიზენშტეინს.

— დერეფნები დანაგვიანებული იყო, იატაკზე პაპიროსის აუარებელი ნამწვი ეყარა, — იხსენებდნენ ყოფილი წითელგვარდიელები.

მამაჩემმა თქვა, გადაღებისათვის რამდენიმე მანქანა პაპიროსის ნამწვი მოეტანათ.

დიდებული რამ იყო კინოფილმ „ოქტომბრის“ გადაღების ურება, გვეგონებოდა, შენც იღებდი მონაწილეობას რევოლუციაში.

— იგულისხმე, ლიოვა, რომ 1917 წლის ყველა ამბავს უშუალოდ ხელმძღ-

ვანელობდა ლენინი, — ეიზენშტეინმა მამა.

ამას იგი ხშირად გვიმეორებდა შეილებს საუბარსა და წერილებში.

„ოცდაშვიდი წლის წინათ, — მწერდა მამა ფრონტზე 1944 წლის 24 ოქტომბერს, უკვე ოფიცერ-არტილერისტს, — როცა შენ დებთან ერთად არხენად გეძინა ლენინგრადში, შენს ბინაში, ვლადიმერ ილიას ძე მამაშენს უკანასკნელ მითითებებს აძლევდა, იარაღით ხელში როგორ დაგვემხო ბურჟუაზიული ხელისუფლება“. იმავე წერილში მამა მიყვებოდა, რომ 1917 წლის 17 ოქტომბერს ლენინმა თავისთან, იატაკქვეშა ბინაში, გამოიძახა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელები: ანტონოვ-ოვსენკო, ნევსკი და მამაჩემი, დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ მიმდინარეობდა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. უთხრა, ვის რა უნდა გაეკეთებინა, რათა მუშებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს გაემარჯვათ ბურჟუებს და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება.

და მაშინ, ფრონტზე, მომაგონდა, რომ თითქმის ათი წლის შემდეგ, 1927 წლის შემოდგომის დილას სამუშაოზე წასასვლელად გამზადებულმა მამამ მითხრა:

— მაიაკოვსკიმ ბილეთი გამომიგზავნა, დღეს პოლიტექნიკურ მუზეუმში მისი საღამოა. თუ შეგიძლია, წადი...

მასხოვს, ძლივს შევიძვარი ხალხით გაჭედო პოლიტექნიკური მუზეუმის დარბაზში. ვლადიმერ მაიაკოვსკი კითხულობდა თავის პოემას „კარგია!“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

დარბაზში მყოფნი ყველანი გაიტაცა ამ პოემამ. პოეტი კითხულობდა მგრგინავი ხმით. მეც, როგორც სხვები, სულგანაბული ვისმენდი, როგორ მზადდებოდა და როგორ დამთავრდა იერიში ზამთრის სასახლზე.

...ყველაფერი ამოძრავებულია. წითელი გვარდიის რაზმები და რევოლუციური ლეგიონები სმოლნისკენ მიემუშრებიან და უცებ მომესმა:

ამ დროს კი სმოლნში,  
ბრძოლის ბედზე  
დაფიქრებული,  
დადის ილიჩი,  
დასტყობია  
საზუბი შუბლის,  
ხოლო რუკასთან  
პოდვოსკი,  
წარბებშეკრული,

პაწია აღმებს  
არჭობს დინჯად  
პუნქტებთან შტურმის.

და ერთხელ კიდევ ასხენა მაიაკოვსკიმ მამაჩემის გვარი.

...აჯანყების ისტორიული დამე იწუ-

\* ლ. პოდვოსკის მამა ნ. პოდვოსკი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი იყო პეტროგრადის აჯანყების დღეებში.

რება. ზამთრის სასახლე აღებულია. დროებითი მთავრობა დამსობილია. ხალხმა გაიმარჯვა და აი მაშინ განთიადამდე

აღარ დარჩა ერთი არშინიც,  
მზის სხივთა ხელებს გაურბოდა სუსხი და თოში,  
ბრვე პოდვოსიკი მანქანაში ჩაჯდა მაშინვე და თქვა დაღლილად: „დამთავრდა...“

სმოლნში“.

პოემისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით აღვზნებული დავბრუნდი შინ.

— მამა, ეს სიმართლეა, რომ ზამთრის სასახლის აღების შემდეგ შენ გითქვამს: „დამთავრდაო“? — ვიკითხვ ადღელებით.

— ჰო, სიმართლეა, — მომიგო მამამ. — მიაკოვსკი იყო ჩემთან, გამომ-

კითხა. ზამთრის სასახლეში ყველაფერი დამთავრებული იყო. მე საათს დავხედე: სამის თხუთმეტი წუთი იყო, და მაშინდა შევამჩნიე, რომ ორი შაშხანა მქონდა — ერთი მხარზე მეკიდა, რომლითაც შემოვივლიდი ხოლმე პოზიციებს, მეორე კი ხელში მეჭირა, იგი ვიღაც იუნკერს წავართვი. ასე, ორი თოფით წავედი სმოლნისაკენ, რომ ლენინისთვის მომეხსენებინა გამარჯვების ამბავი. წინასწარ ვტკბებოდი იმის წარმოდგენით, თუ რა აღტაცებით მომისმენდა ლენინი. ოთახში რომ შევაბიჯე, იგი მაგიდას უჯდა და გამალებით წერდა: არ მინდოდა რა ხელი შემეშალა, ფრთხილად მოვეხვიე ვლადიმერ ილის ძეს და, ხელი რომ მაგრად ჩამოვართვი, ვთქვი: დამთავრდა-მეთქი. ლენინმა გაკვირვებით შემომხედა. რაოდენ არასწორი იყო ჩემი ნათქვამი: „დამთავრდა“! რევოლუციის საქმე ხომ ის იყო დაიწყო. ლენინი იჯდა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს წერდა...

თარგმანა ს. ბაჩოელმა.



## მერცხალი ვარ

თამარ ჩხიძე

მერცხალი ვარ,  
ამიგია სახურავქვეშ ბუდე.  
მეც სამშობლოს სიყვარული  
მახატია გულზე.  
შენ გაკითხავ შორით მფრენი  
ყოველ გაზაფხულზე.  
შენც, ბიჭიკო, ამ ჩემს ბუდეს  
მტრობით ნუ, ნუ უშვებ!

## კახსხული

ნალი ღარსაველიძე

გაზაფხული მოვიდა  
ყვავილების ჭარითა,  
გაახარა ხეები,  
რომ არ იყვნენ ჯავრითა.  
მწვანე კვირტი ხის ტოტებს  
დაურიგა კალათით,  
მერცხლებთანაც აფრინა  
მოსაწვევი ბარათი.  
ველს და მინდორს ვქარგავო, —  
მთაში წერილს აგზავნის,  
ხელში ფუნჯი უჭირავს,  
გუდით დააქვს საგზალი.







# თრიალეთის ციადი

ელგუა  
მერაბიშვილი

მხატვარი  
რევაზ ცუცშირიძე

მოთხრობა

— შეიძლება ყველაზე მაღალ ცხენზე იჯდა და თვითონაც აყლაყულა კაცი იყო, — ჩაერია რატი, — რაღა ამორჩევა დასჭირდებოდა, აიღებდა და ხეტქავდა.

— არ არის აუცილებელი, რომ მაღალი ყოფილიყო, უბრალოდ მარტო მას ეცემოდა ჯაჭვი, ან ლითონის მუზარადი ეხურებოდა და მეხის დასაცემად მეტიც არ იყო საჭირო...

— ეჰ, თქვენთან მოლაპარაკესა რკინის თავი უნდა ებას, — ხელი ჩაიჭნია ბეკურამ. — ან კი რას ვამბობ, რკინის თავიც არ გამომადგებოდა ამ ქუხილის დროსა.

ბავშვებს გაეცინათ, მაგრამ მაშინვე დასერიოზულდნენ, მომხდარი ამბავი თავისი სიმძიმით ბორკავდა მათ ხალისს. თორნიკემ ესკიზები გადაქეჩა და მასწავლებელს თავისი ჩანახატი აჩვენა.

— აი ეს კაცი იყო ამ დილას ბეკურა პაპასთან. ვახტანგმა დახედა და წარბი შეიკრა.

— ძაან სიფათი კი ჰქონია. ის არის? — ჰკითხა ბეკურას და ნახატი აჩვენა.

— ჰო... პირველათა ქართველი არც მეგონა, მაგრამა ჩვენებურს წმინდათა ლაპარაკობს.

— არც სახელი ჰქვია ქართული, — წამოსცდა ბედუქას.

— მართლა? — ვახტანგი ბეკურა პაპას მიაჩერდა.

— თვითონა არ უთქვამს, მაგის ნათლობაში, კიდევ, არა ვყოფილვარ, საიდან უნდა ვიცოდე! — გული მოუვიდა ბეკურას.

მაგან კი არა, ავთომ იცისო, უნდოდა ეყვირა ბედუქას, მაგრამ თვალი შეასწრო თავქვე გაქცეულ ბიჭს, რომლის წითელი ბლუზა ის-ის იყო მიფარა თხილის ბუჩქებს.

— აფეთქება გაურკვეველი მიზეზით, მერე უცნობი კაცის სიკვდილი ციხის ძირას იმაზე მიგვითითებს, რომ რაღაც დანაშაულია ჩადენილი... ახლავე მილიციას უნ-

და შევატყობინოთ, — ვახტანგი ბეკურას მიუბრუნდა, ცხედარს არავინ გააკარო, დაუბარა და ბავშვებთან ერთად შუბნიშანისკენ გაემართა.

ვიდრე თაღვან ხილზე შედგებოდნენ, წინ შოფერი შემოეფეთათ.

— ჩვენთან ახალი ამბავია, უფროსო, — შესცინა ვახტანგს, — რაღაც სამალავს მივაგენით და თქვენთან გამოძგავნეს, დაუძახეო.

გალავნის კარიბჭეში შესული ვახტანგი მშენებელთა აღელვებულ ლაპარაკზე მიხვდა, რომ უბრალო ამბავი არ უნდა მომხდარიყო.

— თორნიკე, ახლა კი შენ უნდა გამომადგე, ცხენზე შეჯდები, მთის სოფელში ახვალ და მილიციას დაუკავშირდები ტელეფონით, გაურკვეველ ვითარებაში კაცი არის მოკლული-თქო, ადგილიც დაუსახელე... დახარჩენი თვითონ იციან.

— ვახტანგ მასწ, წავყვები რა — ყელი გამოუწია რატიმ.

— ორივეს როგორ გატარებთ ცხენი იმ აღმართებში, — უთხრა მასწავლებელმა.

— სიკლას ცხენზე შევჯდები, ისიც იქვე ბალახობს თორნიკეს ცხენთან.

ვახტანგს ისედაც გული ეთანადრებოდა, რომ თორნიკეს მარტოს გზავნიდა და, რაკი საქმე ასე მოეწყო, კიდევაც გაუხარდა, ნება დართო. ბიჭები გაგზავნა თუ არა, მაშინვე ტაძრისკენ გაეშურა და ჩრდილო კედლის საძირკველთან ჩამუხლულ მშენებლებს წაადგა თავს.

— ჯერ ცრუ ნიში მეგონა, მერე ვიფიქრე, სადოშია-რო იქნება-მეთქი — საეკლესიო ჭურჭლის შესანახი ადგილი, რაკი ქაშანურის დერგი დავინახე...

— მაგისთანა დერგებს კი აყოლებდნენ კედლებში, ოღონდ — აკუსტიკისათვის, — გაეპასუხა ჭადარაბიან ინჟინერს ვახტანგი.

— შესაძლოა, მაგრამ აქ სულ სხვა მიზნით არის იგი გამოყენებული. აბა შეიჭვრიტე.



ვახტანგი ჩაიძულა, გვერდჩატიხილ დოქში ჩაიხედა და თვალი მოსჭრა ოქროს ელვარებამ.

— მთელად უნდა ამოვიღოთ დერგი, — ჩაილაპარაკა და წამოდგა, მუხლისთავეებიდან კირი ჩამოიფერთხა და რატომღაც გალავნის კარიბჭისაკენ გაიხედა.

გალავანში ბეკურა შემოდოდა, მხრებში ჩაერგო თავი და ქურდულად მოიპარებოდა.

— იქაურობას რად დაანებე, კაცო, თავი? — გასძახა ვახტანგმა.

— მკვდართან რა გამაჩერებდა მარტოკასა... ძალი დაფუბი და წამოვედი...

ბავშვებმა გადაიხარხარეს, ვახტანგსაც ლამის გაეცი-ნა ამის გამაგონეს.

— ვინ მკვდარია?! — გაიკვირვა ინჟინერმა.

ვახტანგმა მოკლედ მოუთხრო, მაგრამ მშენებლები ისე იყვნენ შეძრულები თავიანთი აღმოჩენით, რომ მაშინვე დაივიწყეს ვახტანგის ნათქვამი.

კალატონებმა ფრთხილად შემოანგრეეს კედლის თხელი ფენა დერგის გარშემო, ციმციმ ასწიეს დაფისუ-ლი ჭურჭელი და მალა ამოდგეს, მაგრამ სახურავზე ხე-ლის წაქარება და მისი დაშლა ერთი იყო: ჯერ ყელი მოს-ძვრა და მერე შუაზე გაიყარა. მზის შუქზე ყვითლად გა-იბზინა ლითონმა და წკრაილით დაეცა ძირს.

ყველამ მას გააყლოთ თვალი.

— ღვთისმშობელი! — იყვირა ბეკურამ და მუხლებზე დაეცა, — ღმერთო, შენ შემეწიე... ხომ გამბობდი, რო-დისმე დაბრუნდება-მეთქი, — პირჯვარს იწერდა და ლო-ცულობდა.

— პლატონ არ გადაავდო, წარწერიანია. — გასძახა ვახტანგმა ინჟინერს, რაკი შენიშნა, რომ ინჟინერი გადაგ-დებას უპირებდა დერგის ნატეხას.

პლატონმა ხელი უშვა ნატეხას, ოქროს ფირფიტას მისწვდა, ფრთხილად გადაუსვა მას პიჯაკის სარჩუ-ლი და თვალიერება დაუწყო. მერე ვახტანგმა გამოართ-ვა და ბავშვებით გარშემორტყმულმა დიდხანს უმ-ხირა.

ღვთისმშობლის მთელი ფიგურა ოქროს ფირფიტა-ზე ხელშესახებად იყო ჭედური წესით ამოყვანილი. ყრმა ქრისტე მკერდზე მიყრდნობოდა და ყელზე ეფო-ფინებოდა დედას. იმდენად ფაქიზი იყო უცნობი ოსტა-ტის ნახელავი, რომ ოქრო გამჭრალიყო, ლითონი აღარ ჩანდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბეკურა გაქვავებუ-ლივით იდგა, მერე ერთბაშად ადგილიდან მოწყდა, შუბ-ნიშანის ეკლესიაში შევარდა და მალე აქაქანებული და-ბრუნდა უკან, ხელში ხატის ჩარჩო ეჭირა, რომლის კი-დეებზე ასევე ჭედური წესით ვერცხლის ფირფიტებში გასხეულებულ ანგელოზთა ფიგურები იყო შემომწკრი-ვებული.

ფერმიხდილსა და თმააწეწილს, ხელები უთრთოდა ბეკურა პაპას.

ვახტანგმა გამოართვა და ფრთხილად შეეცადა, დაებ-რუნებინა ოქროს ფირფიტა მისთვის განკუთვნილ კარე-ლის ბუდეში.

— საოცარი ამბავია, — ვახტანგმა ყველას დასანახად მალა ასწია კარედი, — აბა დახედეთ, ოქროს ფირფი-ტას და მის ბუდეს ორივეს ერთნაირად ატყვია ძალა-დობის კვალი... ეტყობა, ქურდი ჩქარობდა, დაუდევ-რად ამოგლოჯა ფირფიტა და გაიტაცა ტაძრიდან... — ვახტანგი თითებით ასწორებდა დაბრეცილ ადგილებს, მანამდე არ მოეშვა, ვიდრე თავის ადგილს არ მოარგო ფირფიტა.

ღვთისმშობელი ახლა უკვე მინაქრის შარავანდით ეყო-დამშვენებული და გარშემოც ანგელოზები ეხვია.

— ბიჭოს! ესენი ყველა ქრისტეს მოციქულები არი-ან, მაგრამ ერთი რად აკლია? — გაიკვირვა პლატონმა და კარედზე ანაყვლეფს წაუსვა ხელი.

კარედის ნაპირებზე შემომწკრივებულ ანგელოზთა ფიგურებს ერთი აკლდა — იოანე ნათლიმცემელი. ეს მა-შინვე შენიშნა ბეკურამ.

— გუშინწინ, თუ იმის წინ ვნახე, აქ იყო, — დაიგმინა მოხუცმა.

ვახტანგი ყურადღებით სინჯავდა ჩარჩოს.

— ახალი აგლეჯილია, — თქვა ბოლოს.

— ეგ ყველაზე ძლიერი ანგელოზია, აგერ იმ ეკლესი-ის პატრონი, — მცირე საყდრისკენ გაიშვირა ხელი ბე-კურამ, — და სწორედ მაგითმაც ოქრონარევი ვერცხ-ლის ფირფიტაში იყო გამოხატული.

— თუ ძლიერია, როგორღა მოიპარეს? — გაიკვირვა შოფერმა და ქვეშ-ქვეშ ჩაიციხა.

— ოქრონარევი რომ ყოფილა, იმას დაუღუპავს, — ღიმილი ვედარ შეიმავრა პლატონმაც.

— აბა მითხარით, ამის ჩამდენი რა სიცოცხლის ღირ-სია, — დანანებით თქვა ახმანმა კალატონმა და დაზიანე-ბულ ადგილის მორიდებით გადაუსვა ხეშეში ცერი.

— ჩარჩოზე ლითონის ფირფიტების დამაგრების საი-ღუმლო საფლავში წაიღეს ძველმა ოსტატებმა, — ამ-ბობდა ვახტანგი და დაკვირვებით სინჯავდა ნახელავს. — აბა შეხედეთ, ყოველი ფირფიტა თითქოს შეზრდილია ხესთან. მართალია, პატიოსანი თვლები არ უჩანს, მაგ-რამ მაინც შედეგრად უნდა ჩაითვალოს. ამის აქ გაჩე-რება, ცხადია, აღარ შეიძლება, — ვახტანგმა ქალაქში შეხვევა დაუპირა ხატს, მაგრამ მშენებლებმა არ დაანე-ბეს, იყოს, ცოტა ხანს კიდევ ვუყუროთო.

— ახლა ივანე ნათლიმცემელი გავიხდათ საძებარი, — ჩაიჭირილა შოფერმა.

— ვიპოვით, — თქვა ვახტანგმა და დერგის ნატეხე-ბი წამოკრთა, — ნუსხურად აწერია... მგონი იკითხება კიდევ... „ას... პა... გურ“. ალბათ მეჭურჭლის სახელია, ვინც ამ დერგებს ამზადებდა, ან ერისთავისა, სულ პირ-ველად ვისი თაოსნობითაც აიგო ეს ტაძარი.

ბავშვები ჩუმ-ჩუმად შემოუერთდნენ მოზრდილთა ჯგუფს და ხმაგაკმენდილები იდგნენ ხატის სიახლოვეს. ყველაზე უკან ავთო იდგა.

ანაზღად შორეული გუგუნი მოისმა მთებიდან.

— შეველმფრენის ხმაა, — ჩაილაპარაკა ვახტანგმა და მაშინვე თაღოვანი ხილისაკენ გაიქცა. ბავშვებმა სწრაფად მოითათბირეს და უკან გაჰყვნენ მასწავლე-ბელს.

ამასობაში შეველმფრენმა ორჯერ მოხაზა წრე იის-ციხის ირგვლივ და ველიანზე დაეშვა. ვახტანგი უკვე იქ იყო. კაბინიდან გადმოსულ მილიციის მაიორს შეეგება, ხელი ჩამოართვა და საუბარი გაუბა. შორიანლო იდგნენ და მაიორის განკარგულებას ელოდნენ თეთრხალათიანი ექიმი, ვიღაც სათვალისანი კაცი და მაჩვივით დამრგვა-ლებული ფოტოგრაფი, მერე საიდანღაც შავგვრემანი, ქოჩორა სერჟანტიც გამოჩნდა და აღმა მიმავალ ბავშვებს გამოენთო, ახლაც უკან დაბრუნდითო.

— მაიორთან სიტყვა გვაქვს სათქმელი, — შეეპასუხა მარატი და სათვალე მოირგო, — ინფორმაცია გვინდა მივაწოდოთ.

სერჟანტმა თვალები მოჭუტა, თქვენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალეო, ჩაიციხა და უკან გაბ-რუნება დაუპირა ბავშვებს, მაგრამ მაიორმა შენიშნა და გამოსძახა, გამოატარეო.



ვახტანგი წინ წადგა და ჯაგზე გამობმული ბერბიჭა აუშვა. ძალმა კული ამოიძუა უცნობების დანახვაზე და შუბნიშნისკენ მოძურწა.

— ამხანაგო მაიორო, მკვდართან გაუფრთხილებლად მისვლა არ შეიძლება, — მარატს ხმა ურთოდა. ის და ბელუკა მხარიმხარ იდგნენ.

— ვერაფერი გავიგე, — გაელიმა მაიორს.  
— ახლავე მოგახსენებთ... ამ ციხეში შავი ჭირი მძვინვარებდა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში...

— მას შემდეგ ექვსი საუკუნე გავიდა, ეს მეშვიდეა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — უარესად გაუკვირდა მაიორს, ღმილისაგან კი თავი შეიმაგრა.

ექიმი ნელა მიუახლოვდა მაიორთან ასე სერიოზულად მოსაუბრე ბიჭებს და ყური მიუგდო, მერე სათვალისიცი დაინტერესდა, წინ წამოადგა.

— ჩვენ ეპვი ვვაქვს, რომ ეგ კაცი განძს ეძებდა და ზოგ რამეს მიაგნო კიდევ... ხომ შეიძლება ეგ განძი ვინმე დიდებულის აკლამას ეკუთვნოდეს და დამუშავებული აღმოჩნდეს რაიმე საწამლავით? — დაასრულა თავისი აზრი მარატმა.

— რა გავქვთ მხედველობაში... რომელი საწამლავი? — საუბარში ჩაერია ექიმი.

— თუნდაც შავი ჭირის ვირუსები, — წაეხმარა მეგობარს ბედუკა.

ვახტანგი მათ უკან იდგა და ყურს უდებდა. ალსაზრდელთა პაექრობას უფროსებთან, მზად იყო წინმარებოდა, მაგრამ ჯერ ამის საჭიროებას არ გრძობდა.

— ეგვიპტის ფარაონთა აკლამები ათეულ საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მათი გათხრისას ახლაც იღუპებიან გაუფრთხილებელი არქეოლოგები, — განაგრძობდა ბედუკა, — და ყველას სიკვდილის მიზეზად აღიარებულია ვირუსი, რომელიც თურმე სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს ოცდაათ-ორმოცი საუკუნის მანძილზე...

— ეუჰ! — გაიკვირვა მაიორმა და იქვე დაეჭვდა: — კი მაგრამ, საიდან იცით ეს ყველაფერი?

— ამას წინათ ჩვენს რაიონულ გაზეთში ეწერა, რომელიღაც ქურნალიდან გადმოუბეჭდავთ, — ნესტანს თვითონვე შერცხვა თავისი სითამამისა, განზე გაიხედა.

— ბავშვები მართლები არიან. ამ ვირუსს ჰქვია „ასპერგილუს ნაგერი“. ეგვიპტის ფარაონთა ბევრი მუშია და აკლამა დამუშავებული იყო ამ ვირუსის შემცველი ნივთიერებებით, — ექიმს წინა კბილები აკლდა და ჩლიფინით ლაპარაკობდა.

— მაშ ველარ მივსულვართ დაზარალებულთან და ეგ არის, — ჩაეცინა მაიორს. შემცბარი ჩანდა.

— შეუძლებელია, მაგ მიზეზით იყოს დაღუპული. მაშინ იგი დაავადებიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ უნდა მომკვდარიყო, — თქვა ექიმმა.

— ჩვენი ვარაუდით ეგ უცნობი კაცი დიდი ხანია აქ დაეხეტებოდა, — ახლავა ჩაერია საუბარში ვახტანგი. — გუმანით ვხვდები, რომ ციხის კლდოვანი ფუძის ამფეთქებელიც ეგ უნდა იყოს.

— მდაა, რთული ვითარებაა, — შეფიქრიანდა ექიმი, — სიფრთხილის ზომებს დავიცავთ. ყველაფერს მის გარშემო სადენინფექციო ხსნარით დავამუშავებთ. ბავშვები ახლავე გაიყვანეთ ზონიდან.

სერჟანტი მაშინვე თავს წამოადგა ბიჭებს.

— პრესკონფერენცია დამთავრებულია... აბა, წავედით.

ბავშვები უხალისოდ დაჰყვნენ მილიციელის ნებას და ქვევით წამოვიდნენ. სანამ ამხანაგები რცხილის ბუჩქებთან იდგნენ და იმაზე ბჭობდნენ, რა მოხდებოდა ციხის ძირთან, ბედუკამ დრო იხელთა და ავთო გაინაპირა.

— წელან რად გამოიქეცი ზევიდან?

— შემეშინდა.

— მართლა იცნობდი მაგ კაცს?

ავთომ თავი ჩალუნა; ეძნელებოდა ამაზე ლაპარაკი...

## ბანსაჩა

ავთომ არ იცოდა, საიდან დაეწყო. მის გონებაში ერთი მოგონება მეორეს ცვლიდა და ყოველი მათგანი სულს უფორიაქებდა ბიჭს...

დედას შეხვედრა კიროვის პარკთან ვილაც კაცთან... იგივე კაცი მეწაპული ფერის მანქანაში გატარნილი ელოდა დედას სასტუმრო „ივერიასთან“...

რამდენიმე საქმიანი ფრაზა, გადაკრული სიტყვა და ისინი დამდურებულებით შორდებოდნენ ერთმანეთს.

ტელეფონის ზარი გვიან ღამით, დაჟინებული, მომთხოვნი, მომოდინე. თითქოს სჯეროდა მავთულის მეორე ბოლოსთან მდგომს, რომ მას აუცილებლად მოუსმენდნენ. ავთო როდის-როდის იღებდა ყურმილს.

— ქალბატონი ჟოზე მინდოდა, — ესმოდა ბიჭს საძულველი ხმა და უჩუმრის პირით დებდა ყურმილს.

ასეთ წუთებში რატომღაც კედელზე დაკიდებულ დე-



დის სურათს შეხდავდა ხოლმე. არა, ეს სულაც არ იყო ქალბატონი ჟოზეტა, ეს მისი საკუთარი დედა იყო... ავთოს საყვარელი დედიკო. მას არასოდეს რქმევია ქალბატონი... მას უბრალოდ ანუკა დეიდას ეძახდნენ ავთოს მეგობრები... ჟოზეტა მერე მოვიდა მათთან, დედის სიკვდილის შემდეგ... და მაშინვე შეიცვალა მათი ბინა: განაპირა დიდი ოთახი, მზიან მხარეს გაწეული შემინული ერკერით, სამუშაო კაბინეტად იქცა. აქ იდგა საწერი მაგიდა, სავარძლები, დივანი. კედლები თანდათან ირთვებოდა ძველებური შევერცხლილი იარაღით, ჯიხვისა და ირმის რქებით. ძვირფასი ანტიკვარული საგნებით... მერე მამა ერთი წლით საზღვარგარეთ მიავლინეს, როგორც სპეციალისტი ჰიდროლოგი...

ავთო დედას ეძახდა ჟოზეტას, უყვარდა კიდევ დედისმაგიერი. მას შემდეგ უფრო შეუყვარდა ეს ალერსიანი ხმით მოლაპარაკე ქალი, როცა მან თავის პატარა გოგოს, ავთოს დას ანუკა დაარქვა — ავთოს დედის სახელი... მერე კი...

— ავთანდილ, შვილიკო, ერთ ადგილას ვერ გამეგზავნები?

ბიჭმა გაკვირვებული თვალებით შეხედა საგანგებოდ მორთულ ქალს. დაელოდა, რას მეტყვისო.

— დღეს არა მცალია, დელეგაციის შესახვედრად მივდივარ აეროდრომზე. კიროვის პარკში მიხვალ, შადრევანთან თვალახვეული კაცი მოვა, ჩასკვნილია და მსხვილკისერა, ოღნავ გალაჯულად დადის ძველი მეზღვაურივით, — მხიარულად გადაიკისკისა ჟოზეტამ და დაეცი-

ვარგა ხანს ელოდა, ბოლოს მობეზრდა ლოდნისას და მიიდან წამოდგა და წასვლა დააპირა.

— ნატო, მოდი აქ! — მოესმა უცებ ჩახლეჩილი ხმა.

ცალთვალა, მსხვილკისერა კაცი თავისთან იხმობდა შადრევანთან უმწეოდ გაჩერებულ გოგოს. მსხვერპლის მომლოდინე ობობას ჰვავდა.

— მოდი, რომ გეუბნები! — ხორხისმიერი ხმით უყვირა კაცმა და გოგო გაუბედავი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ...

— დღეს ხომ იცი, სადაც უნდა მოხვიდე?

— არა.

— აუცილებლად მოხვალ.

— არა.

კაცი მაჯაში სწვდა და თავისკენ მიაბრუნა უკვე მიმავალი გოგო.

— მოხვალ... არადა... მოგიტანენ, ხომ იცი... ბასმაჩას მეძახიან...

ავთოს თვალთ დაუბნელდა, თვითონაც ვერ მიხვდა, რა ძალამ წამოაგდო სკამიდან, ზამბარასავით ასხლეტილი და წინ გატყორცნილი იგი თავით ეტაკა მუცელში სიბრაზისაგან სახემოდრეცილ კაცს, კაცი უკან გადავარდა და სკამზე დაეთხლიშა ზურგით, უმალ წამოხტა და ბიჭისკენ გამოექანა...

ავთომ ქვა რომ ვერ იპოვა, დაფხვნილი აგური მოიგროვა მუჭში და გამეტებით მიუშვა სახეში...

გვიან საღამოს დედა მოვიდა მილიციის განყოფილებაში, პირგამეხებული ჩანდა, მაგრამ რაკი შეიტყო,



ლი ქალღი დაუდო ხელისგულზე, — ამას გადასცემ და ეტყვი... თუმცა ნურაფერსაც ნუ ეტყვი, თვითონ მიხვდება... შენ ნუ იბღვირები, წესიერად მოექეცი, გამოსადეგი კაცია... აგერ ის მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი, დერეფანში რომ მივიდია, მაგან მომიტანა... მეოთხმეტე საუკუნეა.

ღრუბლიანი დღე იდგა და პარკში ცოტა იყო ხალხი. ვიღაცა ბერიკაცი ბავშვის ეტლს მოაგორებდა. ფანჩატურში დომინოს თამაში გაეჩაღებინათ პენსიონერებს, აქეთ გრძელ სკამებზე ქალიშვილებს გაეშალათ კონსპექტები და თავჩაქინდრულები მეცადინეობდნენ. ავთო

ბიჭს არაფერი ეთქვა ბასმაჩასთან ნაცნობობაზე, ცოტა დამშვიდდა. შვილი მაშინვე გაატანეს სახლში...

ამის შემდეგ იყო, რომ ყველაფერზე გული აიცრუა ავთომ, სულ მცირე რამეზე ბრაზდებოდა და თავს ველარ იჭერდა. მოჩხუბარმა ბლომად ბიჭები გადაიმტერა. ჟოზეს მობეზრდა ბიჭის ტარება ერთი სკოლიდან მეორეში, ადგა და სულაც მოიშორა თავიდან, სოფელში უკრა თავი. მოხუც ბებიასთან ყოფნამ, სოფლის სიხალვათემ და მყუდროებამ თანდათან დაამშვიდა ავთო. მაგრამ გულს ჩარჩენილი წყენა, ოჯახზე დარდი არა-არა და გაუხსენებდა ხოლმე. ახლაც ასე იყო...

# კომუნისტი «მამოხანი 60 რენს გულაგუი»



## რ ე ვ ო ლ უ ხ ი ა

სამოცი წელი გავიდა თითქმის და კიდევ ბევრი გაივლის ალბათ, მაგრამ ის სიტყვა — „რევოლუცია“ კვლავ იკაშკაშებს მედგრად და ნათლად.

ის კაშკაშებდა გმირთა გულეში, ჩვენს თაობებსაც გმირთა გზით ევლოთ! ესმოდეთ სიტყვა — „რევოლუცია“ ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ!

და ჩვენც გვახსოვდეს, რომ ოქტომბერი არის ზეიმი და სიხარული. მუდამ გვიყვარდეს ლენინის საქმე და მისი ხსოვნა ვატაროთ გულით.

სამოცი წელი გავიდა თითქმის და კიდევ ბევრი გაივლის ალბათ, მაგრამ ის სიტყვა — „რევოლუცია“ აღარასოდეს ჩაქრება არსად.

ვიწყებთ დიდი ოპოზიციის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსზე დაწვრილ მასალას ზეპირად. უზახანაგებთ, რომ მასალას გამოგზავნის ვადა 1 ნაქტეგრაფად. კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი „კომუნისტი“ № 1-ში გამოქვეყნებული კონკურსის პირობებს.

## ო ქ რ ო ს ხ ე ლ ი

გუშინ ბებომ ასე მითხრა: „დედაშენს აქვს ოქროს ხელი“. აი უკვე დამდება და დედიკონას მოსვლას ველი. აგერ ისიც შემოვიდა, დადლილია, ვატყობთ ყველა. — დედა, დედა მოვიდათ, — მისკენ გარბის ციცქნა გელა. მეც ვეხვევი. ვუბნები: „საყვარელო ჩემო დედი, აბა ერთი დამანახე — თურმე შენ გაქვს ოქროს ხელი“. დედას ტკბილად ეღიმება: „მომისმინე, ჩემო ლელი, შენი ფიქრით, შეიძლება კაცს ლითონის ჰქონდეს ხელი? მაგრამ ვისაც გარჯა უყვარს, ვისაც უყვარს შრომა ბევრი, ვისაც გულის გასახარი გამოუდის ყველაფერი,

აი მასზე კი იტყვიან, ამ კაცს აქვს ოქროს ხელი. ხედავ, შრომა რა ყოფილა! ხომ გაიგე, ჩემო ლელი?“

ნატო მახარაძე,  
სოფ. ქობულეთის საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

გოჩა თეარგიაშვილი,  
თბილისის 57-ე საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

## ო უ ო რ უ ლ ა

წყნარი, კამკამა მდინარე მიედინება ხევში, ლაღია, გულგადაშლილი სათავეს იღებს მთებში. ლამაზი სირინოზივით ბანაობს თევზი ჩქერში. ჩაიჩქრიალებს მდინარე, აკისკისდება ქვებში, ყვავილთაც ეთამაშება, ხანდახან სწვდება თმებში, ტირიფსაც ეშხით შესცინებს, თან ტალღას გაჰკრავს გვერდში, იღვრება მისი სიცილი მინდორში, ბაღში, ზვრებში.

მზია მაღრაძე,  
ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## გ ა გ ა ფ ხ ე ლ ი

კვირტმა გაშალა ლამაზი კაბა ფაშფაშა, ნარნარა. გამოიღვიძეს ხეებმა, თქვეს: „გაზაფხული დამდგარა“. ჰყვავის აპრილი ფერადი, მთაში ყინული გამდნარა.

თამარ ზანიძე,  
თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, III კლასი.



ნოდარ ნაცარაშვილი,  
თელავის მე-3 საშუალო სკოლა,  
IX კლასი.



# ჩემს მასწავლებელს

დედასავით საყვარელო,  
შორს რომ ვიყო, მოგწერ ბარათს,  
და ბარათში ჩავწერ ასე:  
გვეხსომები ყველგან მარად!

ჩვენ მივდივართ, თქვენთან რჩება  
ჩვენი ცარცი, ჩვენი დაფა;  
არ დაშრება წმინდა წყარო,  
მოწაფე რომ დაეწაფა.

იღვგრძელე, ჯანმრთელი და  
ბედნიერი იყავ მარად,  
კვლავ აღზარდე პატარები  
მშობელ ქვეყნის გასახარად.

მაია ბაზუაშვილი,  
ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა,  
IV კლასი.

# ოქტომბერი

ოქტომბერი ჩვენს გულეში ანთია;  
ოქტომბერი ჩვენს გულეში დაღადებს,  
ოქტომბერო, კვლავ მშვიდობა,  
მშვიდობა,  
კვლავ მშვიდობა მოგვიტანე პატარებს!

ნანა ჯიჟია,  
ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო  
სკოლა, IV კლასი.

# შენ მახარებ, საქართველო!

შენ მახარებ,  
ჩემო მხარე,  
მშობლიურ ჩემო კერავ;  
ჩემი მზე ხარ,  
ჩემი მთვარე,  
ჩემი ლექსი და სიმღერა.  
შენ მახარებ,  
ჩემო მხარე,  
ნატვრისთვალო,  
ლალის ცალო,  
შენს სიმადლეს,  
სილამაზეს  
თავი უნდა ვანაცვალო!

ღარიჯან უჩანეიშვილი,  
ქ. ცხაკაიას  
მე-2 ნ-წლიანი სკოლა,  
V კლასი.

# ბიჭი, რომელსაც

ზუკაბე კახიანიძე

მხატვარი შ. ჰავეზაშვი

მოთხრობა

# ჩუმად



ერთ დღეს უფროსებმა გამომიძახეს (მეცა მყავს უფროსები) და მი-  
თხრეს:

საზღვარგარეთ თუ წახვალ?  
მადლობის მეტი რა მეთქმოდა.  
წავალ, რად არ წავალ, თვალს  
წყალს დავალევივინებ, უცხო მიწას  
მოვიჩინებულე, ხალხს გავიცნობ-მეთ-  
ქი.

ასე იყო თუ ისე, იმ წლის გაზაფ-  
ხულზე ამერიკაში, უფრო სწორად,  
ამერიკის შეერთებულ შტატებში  
გავემგზავრე.

უზარმაზარმა თვითმფრინავმა გა-  
დაუფრინა ცხრა მთას, ცხრა ზღვას,  
ატლანტის ოკეანეს და ნიუ-იორკში  
ჩავვაფრინა.

ნიუ-იორკი დიდზე დიდი ქალაქია,  
უსასრულო ქუჩებითა და ღრუბლე-  
ბამდე აწვდილი სახლებით, რომ-  
ლებსაც ცათამბჯენებს ეძახიან.

ნიუ-იორკში... თუმცა ამ ქალაქის  
აღწერას რომ შევეუდგე, სიტყვა დი-  
ლამდე გამიგრძელდება. ეს საქმე  
სხვა დროისათვის გადავდოთ და ახ-  
ლა ერთ ამერიკელ ბიჭთან შეხვედ-  
რის ამბავს მოგიხსნათ.

ქალაქ ატლანტაში მე და ჩემი რუ-  
სი მეგობარი ვალერი ერთ ოჯახში  
მოვხვდით სტუმრად. ჩვენი მასპინ-  
ძელი არც ბანკირი იყო და არც ფაბ-  
რიკა-ქარხნების პატრონი. უბრალო  
ქურნალისტი გახლდათ.

მასპინძელმა თავაზიანად მიგვიღო  
და სუფრაც გაგვიშალა.

სადილის შემდეგ საუბარს შევყე-  
ვით.

ვალერიმ მასპინძელს პოლიტიკა-  
ზე ჩამოუგდო სიტყვა. მე კი მასპინ-  
ძლის პატარა ბიჭთან მივედი, რო-  
მელიც ოთახის კუთხეში მარტო თა-  
მაშობდა.

— ჰელოუ! — მივესალმე ბიჭს.

— ჰელოუ, მისტერ! — მიპასუხა  
ბიჭმა.

— უბრალოდ ძია დამიძახე, ბიჭუ-  
ნი! — ვუთხარი მას.

— კარგი, ძია! — დამეთანხმა ბიჭი.

— რა გქვია? — ვკითხე.

— ლეოპარდი! — იყო პასუხი.

— ოჰო, ეს რა მრისხანე სახელი  
გქონია! — გავიკვირე. — ლეოპარ-  
დი ხომ ჭიჭივითაა, ვეფხვივით ღო-  
ნიერი და მოქნილი მტაცებელი  
ცხოველი.

ბიჭმა გაიცინა, თითქოს ამბობდა:  
რა ვქნა, ასეთი შესაშინებელი სახე-  
ლი დამარქვეს და რა ჩემი ბრა-  
ლიაო.

— მეც მყავს შენოდენა ბიჭი, ზა-  
ზუნა ჰქვია. ზაზუნაც ცხოველია,  
მაგრამ პატარა, ცუნცულა, მინდვ-  
რის ბინადარი.

— თქვენი ბიჭი ზაზუნას თუ  
ჰგავს?... — ეშმაკურად ჩაიცინა ამე-  
რიკელმა ბიჭმა.

— მერე? — ვკითხე მე.

— მაშინ აუცილებლად მოვერევი!

— დამათავრა ლეოპარდმა.

— ასე იოლი ნუ გგონია ზაზა-ბი-  
ჭის მორევა.

— მოვერევი!

— ვერ მოვერევი!

— ნახე, რა ღონიერი ვარ?! — ბი-  
ჭმა მარჯვენა მკლავი მოზიდა და  
კუნთებზე ხელი დაირტყა.

— ღონიერი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ  
ზაზას მაინც ვერ მოვერევი, ლეოპარ-  
დო!

— მოვერევი, — არ თმობდა ბიჭი.

— ვერა, ლეოპარდო! შენ ასფალ-  
ტზე რომ დაბაკუნობ, ჩემი ბიჭი და-  
ნამულ ბალახზე ფეხშიშველა დარ-  
ბის და ზაფხულობით რიონის ჩქე-  
რებს ცურვით რომ დაუყვება, რი-  
ყე-რიყე სირბილით გული რომ ამო-  
იგდო, მაინც ვერ დაეწევი.

— მაინც მოვერევი! — ჯიუტად  
გაიძახოდა ლეოპარდი.

სულ არ მინდოდა ბიჭის განაწყე-  
ნება და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამო-  
ვიღე.

— შეხედე, ლეოპარდო, ამ ცხვირ-  
სახოცს! გინდა, კურდღელი გავაკე-  
ოთ?

— კურდღელი?! — გაოცდა ბიჭი.

— ჰო, უყურე! — მარცხენა ხელის სამ თითს ერთად მოვუყარე თავი, ხელის ზურგზე ცხვირსახოცი გადავიფარე, ერთი წვერი ცერსა და სალოკ თითს შუა ჩავკეცე, მეორე წვერი კი სალოკ თითსა და შუათითს შორის, თითებშუა მოქცეული ორი წვერი კურდღლის ყურებივით ავცქვიტე და კურდღელიც მზად იყო.

— კურდღელი, კურდღელი! — სიხარულით აყვირდა ბიჭი.

ჯერ სად იყო! ოთახის ყვავილს ფოთოლი შევატეხე და ცხვირსახოც-შემოტმასნილ სამ თითშუა ჩავჩარე, მერე თითები ავათამაშე და შიგნით შევიტირე. ეს კი მართლაც კურდღლის ტუჩების ცმატუნს ჰგავდა, კომბოსტოს რომ ახრამუნებს.

— კურდღლის გაკეთება ზაზუნამაც იცის? — მეკითხება ლეოპარდი. იცის-მეთქი.

— მასწავლი? — ცერად გამომხედა ბიჭმა.

— გასწავლი, რად არ გასწავლი.

— შენ ვინ გასწავლი?

— ბაბუამ.

— ბაბუას?

ალბათ მისმა ბაბუამ.

— ჰოო? მე ბაბუა არა მყავს და ვინ მასწავლიდა?... — თქვა ბიჭმა და ხელი კედელზე დაკიდებული ჩარჩოსკენ გაიშვირა: — აი, ბაბუა! — ჩარჩოში სამხედრო მფრინავის ფორმაში გამოწყობილი კაცის ფოტოსურათი ჩანდა. — ბაბუა მფრინავი იყო, სამხედრო მფრინავი. — ბიჭუნამ სათამაშო თვითმფრინავი მალა იტაცა და შეათამაშა.

— აი ასე. ყეუუ! — მერე მეორე ხელით ქვემოდან ავტომატი მიუღერა. — ტრახ-ტრახ! — ხელი გაუშვა და სათამაშო თვითმფრინავი ბზრიალით დაეცა იტაკზე — ვიეტნამი! — დაუმატა ბიჭმა.

გავიგე, ბიჭის ბაბუა ომში დაღუპულა და ვინღა ასწავლიდა ცხვირსახოცისაგან კურდღლის გაკეთებას!

ლეოპარდმა მოიწყინა. რომ გამემხიარულებია, ვუთხარი:

— სათამაშოები ჩინებული გქონია, ლეოპარდო. ავტომატია და, ისე კაკანებს, ნამდვილსა ჰგავს; თვითმფრინავი, ფანჯარა რომ გამოაღო,

ალბათ გარეთ ისე გაინავარდებს — თვალსაც ვერ მოვკრავთ; ტანკს ისეთი მუხლუხები აქვს, რომ მომართავ, ბალიშზეც გადაბობდებოდა. ჩემს ზაზუნას არა აქვს ასეთი სათამაშოები.

ლეოპარდმა სათამაშოებში ერთი





**საქართველოში  
კვიკი  
ქვიკი  
ქვიკი  
ქვიკი**

დღეს ჩვენთან სტუმრად არის  
ყაზახეთის საბჭოთა სოცია-  
ლისტური რესპუბლიკის სა-  
გაგზავო შურნალი „ბალდირ-  
ბანი“ („პლორტი“).



**საქართველო**

გრძელდებიან თეთრი რევოლუცი-  
ის ამოარჩია და ხელში მომაჩეჩა:  
ზაზა-ბიჭს ჩემგან საჩუქრად წაუ-  
ღეო.

რა უნდა მექნა, მადლობის ნიშნად  
ხელი მაგრად ჩამოვართვი.

„ეს რა მომივიდა, — ვფიქრობდი,  
— უცხო ხალხთან სტუმრად შეტა-  
ბუტასავით ხელცარიელი მოვედი,  
როგორ არ ვიფიქრე, ოჯახში ბავშვი  
ეყოლებოდათ?“ უცებ გამახსენდა,  
— პორტფელში ჟურნალ-გაზეთებ-  
თან ერთად საქართველოდან წამო-  
ღებული ჩურჩხელები მქონდა ჩაწ-  
ყობილი.

პორტფელს ვეცი, სწრაფად გავხ-  
სენი და გაშვებულეული ქარვის-  
ფერი ჩურჩხელა ლეოპარდს გავუ-  
წოდე.

ბიჭუნამ ჩურჩხელა ჯერ ხელში  
ატრიალა, მერე დოღს ჯოხივით  
დასცხო.

— ბიჭო, ეს ჩურჩხელა, ჩურჩხე-  
ლა! — შევძახე მე.

ლეოპარდმა ვერაფერი გაიგო.  
იმას კი მიხვდა, ამ უცხო საგანს  
დოღს ვერ დასცხებდა. აიღო ჩურ-  
ჩხელა, შანდალში ჩადო და ასანთს  
გაჰკრა. ასანთი ჩაუფიქრე. ჩურჩ-  
ხელა გამოვართვი, თავი წავატეხე  
და შევანრამუნე, თანაც თათარას  
ტუბილ გარსში ჩაფლული თხილის  
გული დავანახე. სასუსნავი ყოფი-  
ლაო, და ლეოპარდმაც უკბიჩა.

ამერიკელი ბიჭი გემრიელად მი-  
ორთმევდა ქართული ვაზის წვენითა  
და მზის მცხუნვარებით გაუღნთილ  
ჩურჩხელას და სიამოვნებისაგან  
მკერდზე მუშტს იბაგუნებდა: იფ,  
იფ, ეს რა გემრიელი ყოფილაო!

ორი ცალი კიდევ გაუწოდე. ბიჭ-  
მა ჩურჩხელები ჩამომართვა და  
მკითხა: შენი ზაზა ხშირად თუ ჭამს  
ჩურჩხელებსო?

ზამთარ-ზაფხულ გამოულეველი  
აქვს-მეთქი.

იცით, რა თქვა ამერიკელმა ბიჭმა,  
ძლიერი და მოქნილი ლეოპარდის  
სეხნიამ? საქართველოში უნდა გეს-  
ტუმროთ, შენს ზაზას უნდა დავე-  
ჭიდო. შეიძლება მოვერიო, შეიძლე-  
ბა — ვერაო.

— მაგას ნუ დარდობ, ლეოპარ-  
დო-ბიჭო, გაიზარდეთ და გაიზარეთ.  
როცა დავაეკაცდებით, საჩხუბრად  
კი არა, სულ საკაიკაცოდ, სამეგობ-  
როდ და სამშვიდობოდ შეხვედრო-  
დეთ ერთმანეთს, — ვუთხარი ბიჭს  
და ერთი ჩურჩხელა კიდევ ამოვა-  
ცოცე პორტფელიდან:



# კვიკი ყაზახეთის

იმ დღეს პირველკლასელი აღმასი ადრე ადგა. ისე ად-  
რე ადგა, რომ ბებიამ მოფერებაც კი ვერ მოასწრო.

უჩვეულო კვირა დღე გაუთენდა აღმასს. დღეს სკო-  
ლაში არ მიდის, პაპამ ქალაქში სასეირნოდ უნდა წაიყ-  
ვანოს. პაპა კარგა ხანია დაჰპირდა, „საჰაერო გზით“  
გაგასეირნებო. ეს „საჰაერო გზა“ კი სახელგანთქმულ  
კოკ-ტიუბეს მთისკენ მიდის. იქიდან ულამაზესი აღმა-  
ათა ხელისგულივით მოჩანს. ამ მაღალ მთაზე ასვლას  
დიდი ხანია ოცნებობდა აღმასი. ამიტომ ადგა ადრი-  
ანად.

თურმე კვირადღე მარტო პატარა აღმასისათვის არ  
ყოფილა განსაკუთრებული, ეს დღე ყველა მოქალაქის-  
თვის სასურველი და საინტერესო გამოდგა. ქუჩაში ზღვა  
ხალხი ირეოდა, სეირნობდა, ქალაქგარეთ დასასვენებ-  
ლად მიეშურებოდა, პარკებში დადიოდა.

— მალე ჩვენს ქალაქში მილიონი ადამიანი იქნება, —  
აუხსნა აღმასს პაპამ, — ჩვენი ქალაქი დღითი-დღე იზ-  
რდება, მშვენივდა!

პაპა მართალი იყო. კოკ-ტიუბე აღმასს ძალზე მოს-  
წონდა. ძირს რომ გადმოხედა, თვალს არ დაუჭერა, მისი  
ქალაქი აქედან ისეთი დიდი ჩანდა. ამ სიმაღლიდანაც  
კი არ უჩანდა ბოლო.

მერე სახელგანთქმულ „მედეოზე“ ავიდნენ. ამ ად-  
გილს ხალხი „მსოფლიო რეკორდების ფაბრიკას“ უწო-  
დებს. აღმასმა არ იცოდა, თურმე მედეო ზედ ალათაუს  
თეთრი ქედის ფერხითი ყოფილა გაშლილი. ბამბასავით  
ღრუბლები ქვევით ჩანდნენ. პაპამ აუხსნა, რომ ალათაუს  
მთებში წელიწადის ოთხივე დრო ერთდროულად შე-  
იძლება ნახოს კაცმა.

— აგერ, შეხე! — თქვა პაპამ, — დიდი, თეთრი ლაქე-  
ბი რომ მოჩანს, ეს მარადი მუნივარეთია, ცოტა ქვე-  
მოთ გაზაფხულის მაცნე ედეღვასები და ყოჩივარდე-  
ბი ყვავის. აქ, სადაც ჩვენ ვდგავართ, ნაღდი ზაფხულია,  
ქალაქში კი ახლა შემოდგომაა.

— პაპავ, — გაეხარდა აღმასს, — ამას წინათ, სკოლა-  
ში შეფები გვეწვივნენ — მეზობელი ქარხნის კომკავ-  
შირელები, გვითხრეს, შემოდგომაზე ხორბლის ასაღებად  
კოლმეურნეობას ვეხმარებოდითო. ჩვენც მოგვიტანეს



რამდენიმე თაველი. იმ პურის თაველი სტენდზე გავაკარიტ. დაგვიბრდნენ, როცა წამოიზრდებოთ, ჩვენთან ერთად წამოხვალთო...

— ხორბალი დიდებული რამ არის, ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი განძია! — თქვა პაპამ.

— სად მოჰყავთ ხორბალი?

— ჩვენთან, ყაზახეთში, თორმეტსავე ოლქში თესავენ ხორბალს, მაგრამ მთავარი ბედელი — ყამირი მხარეა. მილიარდობით ფუთი ხორბალი მოდის... იმ ხორბლიდან არის, ჩვენს მაგიდაზე პური, ფუნთუშა, ნამცხვარი... ბიძაშენი ყამირზე შრომობს, ნამდვილი გმირია!

— გმირი? ომში იყო თუ რა?

— არა, ბიძაშენი მაშინ პატარა იყო. ომში მამამისი იბრძოდა. პაპაშენი. იმან იომა... იმან მოგიტანა ბედნიერი ბავშვობა. იმ ომში 500 ყაზახი გმირი გახდა — საბჭოთა კავშირის გმირი. იცი, მაშინ ყაზახი გოგოებიც ომობდნენ. მაშინ გაითქვეს სახელი აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის პირველმა გმირმა ქალებმა — მათუკ მამეტოვამ და ალია მუდდაგულოვამ. ბებიაშენი კი იმ დროს ზურგში იბრძოდა, ქალაქ ჩიმკენტში. მტრისათვის სასროლი ასი ტყვიიდან ოთხმოცდაათს ქალები აკეთებდნენ.

— ბებიაჩემიც თუ ომობდა, ეს კი აღარ ვიცოდი! — გამოტყდა აღმასი.

— გამოდის, რომ იმასაც უომნია. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში 27 ისეთი დიდი ქარხანა და ფაბრიკაა, რომელთა პროდუქცია რესპუბლიკის გარეთ და უცხოეთში იგზავნება. აშენდა ახალი ქალაქები. მაგალითად, ქალაქი შევჩენკო, მანგილაკზე, (ჭაბუკობის უამს ტარას შევჩენკო გადაასახლა მეფის მთავრობამ იმ ადგილებში). იქ მილიონობით ტონა ნავთობისა და გაზის საბადოებია აღმოჩენილი. ახალი ქალაქია უსტ-კამენოგორსკიც — ფერადი მეტალურგიის უდიდესი ცენტრი. ქალაქი პავლოდარი მდინარე ირტიშის სანაპიროზე. პავლოდარის სატრაქტორო ქარხანა უმსხვილესი საწარმოა ამ დარგის საწარმოთა შორის. მალე იქ „კ-701“ მარკის 300-ცხენისძალიან ტრაქტორებს გამოუშვებენ.

ახლა ის თუ იცი, რამდენი გამოჩენილი მწერალი, კომპოზიტორი და მხატვარია ყაზახეთში? მაგალითად, მუსტარ აუეზოვი ლენინური პრემიის ლაურეატია, გაბიტ მუსრეპოვი — სოციალისტური შრომის გმირი. პოეტები სამიტ მუჟანოვი, აბდილა ტაუიბაევი, სირბაი მათულენოვი, მუზაფირ ალიმბაევი, გაფუ კაირბეკოვი უმღერიან თავიანთ ხალხის ახალ ცხოვრებას.

— მილიონი ძალიან ბევრია? — იკითხა აღმასმა.

— კი, ძალიან ბევრია.

— ჰო, მასწავლებელმა ერთხელ გვითხრა, ჩვენს რესპუბლიკას 50 მილიონი ცხვარი ეყოლებაო. თუ ასე ბევრია მილიონი, სადღა უნდა ძოვოს ამდენმა ცხვარმა!

— ჩემო კარგო... უკიდევანოა ყაზახეთის მიწა... ათასნაირი მცენარე ხარობს, ათასნაირი ცხოველი ცხოვრობს, ჰოდა, მცენარეთა და ცხოველთა მოსავლელად და შესანახად ნაკრძალებია გამოყოფილი.

... დიდხანს სეირნობდნენ პაპა და შვილიშვილი. ძალზე საინტერესო იყო მათი საუბარი. ბევრი ისეთი რამ გაიგო აღმასმა იმ დღეს, რომელიც ადრე არასოდეს სმენია.



\* ყაზახეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციონარის ალიბაი ჟანაქალინის მონუმენტი ალმა-ატაში.

## მეთოთხეტი

ზედ ახალი წლის წინ ბაკაი გაცივდა და საავადმყოფოში დააწვინეს. უფროსი და ბალნური კბილის ექიმი იყო და იმავე საავადმყოფოში მუშაობდა. იგი ხშირად აკითხავდა ძმას. ექიმს ხომ ყველა პალატაში და ყოველთვის შეუძლია შესვლა! ექიმს ნება აქვს. სხვა ბავშვებს კი მშობლები მხოლოდ შაბათობითა და კვირაობით აკითხავდნენ.

ბალნური 31 დეკემბერს მოვიდა. ყველას მოულოცა ახალი წელიწადი. კოხტად შეხვეული შოკოლადის კანფეტები კი მხოლოდ ბაკაის მიუტანა.

სხვა ბავშვებს ნათესავი ექიმები არ ჰყავდათ. მათ მშობლები მხოლოდ კვირა დღეს, პირველ იანვარს მოაკითხავდნენ. ბავშვებს ცალი თვალი ბაკაის სასთუმლისაკენ გაურბოდათ.

წავიდა თუ არა და, ბაკაიმ კოლოფი გახსნა: — ჩქარა, ბავშვებო, ჩქარა! მოდით, დაირიგეთ კანფეტები!

მერე წამოდგა და ბავშვებს თვითონვე ჩამოურიგა შოკოლადი.

პალატაში თოთხმეტი ბავშვი იყო. შოკოლადი მეთოთხმეტეს აღარ შეხვდა. ის მეთოთხმეტე ბაკაი იყო. აღარ შეხვდა, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია...

# ხელმოხევი



იცი, ფხვნილიც და ჯაგრისიც რატომაც არის კარგი, მაგრამ — პატარავ — არ იცი კბილს თუ იხეხავს თავი. თუმც არ იხეხავს, იქლიბავს და ამ წესს მუდამ იცავს. ფხვნილის მაგივრად —

ქვას ხმარობს, ჯაგრისის ნაცვლად — ფიცარს. თავის სოროში მარცვალი თავზე საყარად ყრია... ხრავს — ღამეა თუ დღეა. მან კი რქა ნახა გამშრალი, ვერც წარმოიდგენს, რას ეძებს რაღაც ძვალში თუ ქერქში, დაძაბული რომ მიათრევს შიშით სოროსკენ ბნელში.

იქ სულ უბრალო აზრია: ძვალი საქლიბად უნდა, თავის კბილი ასე გაზრდია, ასე ყოფილა მუდამ. თავის კბილი მუდამ ეზრდება, ყველგან — მთაში თუ ველად, რომ მერე მოხერხებულად ხვრელი გათხაროს ხელად... ზოგ ბაღლს კი

რა ჭუჭყიანი თითი ჩაუდევს პირში, ფრჩხილს იკვნეტს წრუწუნასავით, ცუდ ზნეს ვერაფრით იშლის.

თარგმნა ა. აბულაშვილმა.

საილაუმ დედას მანეთი გამოართვა და ნურლანთან ერთად სკოლისაკენ გაემართა. ყინავდა. თებერვლის თოვლი ხრამუნობდა ფეხქვეშ. შუადღე იდგა. სკოლამდე დიდი მანძილი იყო, არც ეჩქარებოდათ და იფიქრეს, მოდი, სასადილოში ლიმონათი დავლიოთო. კუთხეში მაგიდას მიუხსდნენ. საილაუმ ფანჯრის რაფაზე დაწყობილი ხელთათმანები დაინახა.

როცა მაგიდიდან წამოდგნენ, სასადილოში მათ მეტი აღარავინ იყო. კარისკენ უნდა წასულიყვნენ, რომ საილაუმ, უჩუმრად დაავლო ხელი ხელთათმანებს და ჯიბეში ჩაიჩურთა. ნურლანს არაფერი შეუმჩნევია. ცოტა რომ გაიარეს, საილაუმ ხელთათმანები ჯიბიდან ამოიღო და ნურლანს უჩვენა.

— მოდი, გავყიდოთ ეს ხელთათმანები!

ხელთათმანები ახალი იყო. ნურლანი დასთანხმდა.

სალამოთი სკოლიდან დაბრუნებულმა საილაუმ ის-ის იყო შეაღო სახლის კარი, რომ მამაც დაბრუნდა სამსახურიდან. მამამ ღუმელს მიუშვირა ხელები და თქვა:

— ეს ოხერი, დღეს რომ ვისადილე, სასადილოში ხელთათმანები დავტოვე... ხელიდან წავიძრე, ფანჯრის რაფაზე დამრჩა მგონი... ვეძებე, უკან დავბრუნდი, იქ აღარ დამხვდა.

გაიგონა ეს სიტყვები საილაუმ და კინლაძე დაიწვა სირცხვილით.

ელმირა თაზაკაბავა,  
ჩიქენტის ოლქის ბერგულრინის რაიონის ტურკულის საშუალო სკოლის  
IV კლასის მოსწავლე.

\*  
ზეიზი.  
მ. სემბინოვა,  
7 წლის.  
პალაჰი  
ბაღდი —  
შურბანი.





# გაზაფხულის სურათი



ვხედავ,  
 მაღლა  
 ცაზე ღრუბლებს  
 დააქროლებს ქარი.  
 ჩამოურბენს სოფელს  
 დელე —  
 ჩაათავა ბარი.  
 დადამდება.  
 შემოჭდება  
 ხეზე მთვარე მრგვალი,  
 შავ ფოთლებსო  
 თითქოს ბნელში  
 შეუწთესო ალი.

თურსუნეი თალენიშვაპა,  
 VI კლასის მოსწავლე,  
 ტაღლიკურგანის სკოლა.

თარგმნა  
 ზურაბ ლეჟაშვილმა.

\* ქარაგვანი. კულუპ სერჟი, 6 წლის, ქალაქი ეშაბა.

## მამული

ველი — ვრცელი და  
 ლურჯი სათიბები;  
 აქა-იქ — ტირიფები,  
 ნაზნი, ნატიფები;

მთები — ლამაზები,  
 ყანები — საოცნებო,  
 წყალი — უკვდავების,  
 ბაღები — საოცრება.

ვინ არ მოხიბლულა,  
 აქ თუ გაუფლია...  
 და ეს ყველაფერი  
 ჩემი მამულია.

ბახიბ ესტაკოვა,  
 მოსწავლე,  
 სემიპალატინსკის ოლქი.

## მზე რომ ვიყო

როცა ამობრწყინდება  
 მზე — ბუნების წყალობად,  
 ეფინება მთა და ბარს  
 ბულბულების გალობა.

სარობს მაშინ ყოველი  
 ფრინველი თუ ცხოველი,  
 მღერის ადამიანის  
 გული დაუცხრომელი.

მაგრამ მოვა სადამო  
 და მზე გაიპარება,  
 მიგვატოვებს დილამდე,  
 სადღაც ჩაიმალება.

მე კი, მზედ რომ მაქცია,  
 ჩავიდოდი აროდეს,  
 დაე, ყველა დღე და დამ  
 ჩემი შუქით სარობდეს!

სულთან კალივიზი.

## რას გალობენ ფრინველები

რას უგალობს ბულბული?  
 — განთიადის ნათებას.  
 ბატი ტბაში ყიყინით  
 აქებს პაპანაქებას.

„რა კარგია ზაფხული!“ —  
 გრუტუნებენ გვრიტები.  
 „ტყუა ჩვენი მფარველი“, —  
 სტვენენ წიფლის ჩიტები.

„მაღე დაგვიზამორდება“, —  
 ამბობს შავი ყორანი;  
 ნეტა რად უხარია  
 ყორანს თოვლის თოვანი?!

ასე, ყველა ფრინველი,  
 არწივი თუ ბელურა, —  
 იმას, რაც უხარია,  
 უმღერს თავისებურად.

ალიზაი ტაბილდიავი.

## თოვლის ფიფქები

ერთი შეხეთ, მეგობრებო,  
 რა ლამაზი ფიფქებია!  
 როგორ ჰგვანან ჩვენს გოგონებს —  
 ცეკვით რომ არ იღლებიან.

მარატ კოშამბარდიავი,  
 მოსწავლე. ჯამბულის ოლქი.

აადაც ლურჯი ველი არი,  
 იქ ბალახობს ჩვენი ცხვარი.  
 მგელო, მგელო, მოწანწალევე,  
 ამ ჩვენს ფარას გაეცალე,  
 თორემ პაპაჩემის თოფით  
 დაგიბნელებ ბოროტ თვალეებს.

ლექსები თარგმნა  
 სიმონ ზამფრინაშვილმა.

# კუნელი

რა ლამაზი ტოტი გაქვს,  
ეკლებით რად მოირთე!  
სასურველო  
კუნელო,  
მინდა შენთან მოვიდე.

— ასე მამაცს რომ გხედავ,  
მე სიტყვებიც არ მყოფნის...  
— შეიძლება დავკრიფო  
გემრიელი ნაყოფი?

— ტოტებს თუ არ დატეხავს,  
დავანებოთ, ეკალო.  
— რომ დავტეხო?...  
— ო, მაშინ  
ასლოს არ გამეკარო!

მუზარაკა ჟამანაალინოვი,  
თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ.

ნადირობა

მთის

არწივით



# პაპის ხე

1974 წლის გაზაფხულზე პაპამ სა-  
იდანღაც ოთხი ნერგი მოიტანა და  
სახლის წინ დარგო. მე და პაპა ყო-  
ველდღე ვრწყავდით ამ ნერგებს. პა-  
პამ გვასწავლა როგორ უნდა მოვუა-  
როთ ხეებს. ასე გვითხრა:

— ხეები ძალიან მაღალი გაიზრ-  
დებიან... ამ ხეთა ჩრდილში დაის-

ვენებთ, წიგნს წაიკითხავთ...

პაპა 76 წლისა იყო. იგი ამ შემო-  
დგომაზე გარდაიცვალა. ჩვენ ყო-  
ველდღე ვუვლით პაპის დარგულ ხე-  
ებს. იზრდებიან ხეები. შევყურებთ  
ამ ხეებს და პაპას ვიხსენებთ.

ბახტიბულ ბაკაშვილი, VI კლასი,  
სემიპალატინსკის ოლქი.

# მთვარე ტბაში

ცაზე ბრწყინავს ბადრი მთვარე —  
სსივებმოკაშკაშე  
და ბროლივით გამჭვივრულე  
წყალი მოჩანს ტბაში.

თუკი ქარმა დაუბერა  
კამკამა ტბის თავზე, —  
ხტუნავს მთვარის ანარეკლი,  
როგორც ოქროს თევზი.

ასპარაჟან სარსაპოვი,  
თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ.



# ვიტამინი „ს“

ერთხელ კოჟანასირი და მისი შვილიშვილი სტუმრად  
იყვნენ. ტაბლას მიუსხდნენ. ბიჭი დაუფაცურდა პურ-  
ღვინით სავსე სუფრას. კოჟანასირმა ფეხი გაჭკრა — რა  
აძბავში ხარო!

— პაპავ, თქვენ არ იცით, ფორთოხალში ვიტამინი  
„ა“ არის, ვაშლში — ვიტამინი „ბ“, მურაბაში — ვი-  
ტამინი „გ“, თქვა შვილიშვილმა და ისევ ეცა საჭ-  
მელს.

გაცეცხლებულმა პაპამ მოუქნია და ერთი მაგრად  
სტკიცა ლოყაში სილა.

— დღეიდან აღარ დაგავიწყდება! „სილაში“ ვიტამინი  
„ს“ არის!

ჩაიწერა მესხეთეკლასელმა  
ჟანილ ალინაზაროვმა.

ქ. ნიკუსი.

კ. შარქისის სსხ. საქ. სსრ  
საბჭოთაწიფო სპუბლიტა  
სმალნიკოვიძე



# აქაი კოი და კაილ უპიცი



დირ  
სამაჟლო  
ოჟი  
დალუჟო  
მეზრძოლთა  
მონუჟენტი  
ჟ. ალჟა-ათაჟი.  
ფოტო  
ჟ. პაპიჟოჟისა

ჟაჟახჟური ხალხური ჟლაპარი

ერთხელ აღდარ კოსე ტრამალს მი-  
უყვებოდა. წინ ბაის შვილი შემოეყარა,  
მიესალმნენ ერთმანეთს. ეკითხება მხე-  
დარი აღდარს — რა გჟქვიათ.

— მე აღდარ კოსე ვარ!  
— შენ ის ეშმაკის ფეხი აღდარი  
ხარ, შაითანი რომ გააბითურა?  
— სწორედ ისა ვარ!  
— აბა ერთი სინჯე, მე თუ მომატყუ-  
ებ?

— ეჟ! — შემოიკრა თავში ხელი აღ-  
დარმა.

— რა მოგივიდა?  
— ერთი რაღაცა მაქვს, უიმისოდ ვერ  
ვიტყუები. ახლა ის რაღაც, შინ დამრ-  
ჩენია და როგორღა მოგატყუო, თო-  
რემ...

— მოდი, ამ ცხენზე შეჯეჟ და მოი-  
ტანე ის რაღაც, — უთხრა მხედარმა  
და ცხენიდან ჩამოსტა.

აღდარი ცხენს შემოასტა, ცოტა გა-  
აჭენა და ბაის შვილს შეუძახა:

— ჩემი ტყუილიც ეგ იყო! ახლა კარ-  
გად იყავი!

ბაის შვილს რაღა დარჩენოდა, ადგა  
და ტრამალს ფეხით გაუყვა.



## ჟინ უჟრო ღონიერი

ჟაჟახჟური ხალხური ჟლაპარი

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხ-  
და. ხოხობი ეინულზე დაცურდა და  
ფეხი მოიტეხა. წაიქცა ხოხობი და  
ფიქრობს.

— ეინულო, ეინულო, რა ღონიე-  
რი ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, წვიმა  
ვერ გამაღლობდა!

— წვიმავ, წვიმავ, რა ღონიერი  
ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, მიწა  
ვერ შემისრუტავდა!

— მიწავ, მიწავ, რა ღონიერი ეო-  
ფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, მწვა-  
ნე ბალახი ვერ გამარღვევდა!

— მწვანე ბალახო, რა ღონიერი  
ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, ხბო  
ველარ გადამთელავდა!

— ხბოვ, ხბოვ, რა ღონიერი ეო-  
ფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, მგე-  
ლი ველარ შემჟამდა!

— მგელო, მგელო, რა ღონიერი  
ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, თოფი  
ვერ მომერეოდა!

— თოფო, თოფო, რა ღონიერი  
ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვყოფილი-  
ყავი, ჩემს თასმას თავი ვერ დაღრ-  
ლნიდა!

— თავგო, თავგო, რა ღონიერი  
ეოფილხარ შენი!

— მე რომ ღონიერი ვიყო, საჯამ-  
თროდ მომარაგებულ სარჩოს, ჟიან-  
ჟველა ვერ წამართმევდა!

— ჟიანჟველავ, ჟიანჟველავ, რა  
ღონიერი ეოფილხარ შენი!

— აბა რა გეგონა! ჟურგზე ექვსი  
ბათმანი ტვირთის წამოკიდება შე-  
მიძლია!

ჟიანჟველამ მართალი ბრძანა.

## მასარეჟი

დედას გასაცილებლად მამასთან ერ-  
თად ასანიც გაყვა. მატარებლის დაძ-  
ვრამდე ფეხი არ მოუცვლია. მერე მატა-  
რებელი წავიდა. ამ დროს იმავე მხრი-  
დან, საითაც მატარებელი მიიშალა,  
სადგურისაკენ მომავალი მატარებელი  
გამოჩნდა. ასანმა დაინახა და შეჟყვი-  
რა:

— შეხე, მამი, მატარებელი დაბრუნ-  
და, ეტყობა, დედას რაღაც დარჩენია!

შააკოლტა ნურმაჟავი,  
IV კლასის მოსწავლი.  
გურიევის რაიონი

# ჩუჩუაჲ



მურატს ხუმრობითაც კი რომ აწყენინო, იმ წუთში დაგემუქრება: დედას ვეტყვი! დედას ვეტყვიო! — და შინისკენ მოკურცხლავს.

ერთხელ მეზობლიანთ ეზოში ვთამაშობდით. სად იყო და სად არა — ლეკვი გამოჩნდა. ლეკვმა ყეფა ატეხა და იქვე მდგომ მურატს ეცა.

— დედას ვეტყვი! — დაემუქრა მურატი ლეკვს და შინისკენ გაქუსლა.

ოლან ნაპენოვი,  
V კლასი,  
კიხილ-ორღის ოლქი.

# პიპიპი

ზღაპარი

ერთი მიამიტი კაცი სახეღარზე შემომგდარიყო და მიდიოდა. წინ ციცაბო გზა ედო. კაცს შეეცოდა ვირი და ჩამოქვეითდა. ვირს აღვირში ჩავლო ხელი და მთის ბილიკს შეუყვავა. სად იყო და სად არა, ორი ქურდი გამოჩნდა, ქურდები ვირს მიებარნენ, ერთმა აღვირი წააძრო თავიდან, თვითონ ჩამოიცვა და კაცს ვირის მაგივრად გაედევნა უკან. მეორე ქურდი ვირს მოახტა, გვერდზე გადაახვევინა და მიიძალა. მოგზაური ბაიბურში არ იყო, მიდიოდა და მიიმდეროდა. უცებ ქურდმა წაიფორთხილა, აღვირი დაიჭაჩა. მიამიტმა კაცმა უკან მიიხედა, მიიხედა და გადაირია — ვირის ნაცვლად კაცს მიუძღვოდა აღვირით!

— შენ აქ საიდან გაჩნდი?

ქურდი როდი დაიბნა.

— ნუ გეშინია კაცო, ადამიანი ვარ, აქამდე შენი ვირის გამოსახულებით დავდიოდი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბევრობაში გაუგონარი ვიყავი. დედას თავი მოვაბეზრე და ერთხელ დამწყევლა: „შე ვირო, შენაო!“ ჰოდა, გადავიქეცი კიდევაც ვირად. მერე ის ვირი შენ იყიდე ბაზარში. ახლა კი კვლავ ადამიანად გარდავისახე.

მიამიტმა კაცმა დაიჭერა ყველაფერი და ქურდი თავისი გზით გაუშვა.

\* მამა მუშაობს კარიერაზე.

ნარკვი ნიკოლაკვი, 7 წლის.  
კუსტანაის ოლქი, შ. რუღნი.

# ზამთარი


ზამთარი იდგა. ციგით ვსრიალებდი. მოვიდა ჩემი მეგობარი ბალკია და თოვლის პაპის გაკეთება დაიწყა. შინიდან ნახშირი, სტაფილო და სათლი მოვარბენინე. თოვლის პაპას ნახშირით თვალეები გავუკეთეთ, ცხვირი — ყვითელი სტაფი-

ლოსი, ხელში ცოცხი დავაჭერინეთ. მეორე დილით ჩვენი თოვლის პაპა მთლად გაყინული და კიდე უფრო გალამაზებული დაგვხვდა. ძალიან გავიხარეთ.

ნინა აპიშევა,  
V კლასის მოსწავლე,  
ტალიურგანის ოლქი.

თარგმანი  
ზ. ლეჟაშელიძე.

აულში.  
ვიტია შილინი, 6 წლის.






განყოფილებას ხელმძღვანელობს  
ნოდარ შამანაძე

## როგორ გაეჩინა მანავი

სოფელ მანავის მიდამოებში წინათ ტბა ყოფილა. მის სანაპიროზე მხოლოდ ორიოდ გლეხი მოსახლეობდა. ისინი ტბაში ნავით გადიოდნენ-გამოდებოდნენ. ერთხელ იმ ტბასთან ვიღაც უცნობი მგზავრი მისულა და დაუძახია: რა გქნა, იქითა ნაპირზე როგორ გავიდეთ. მანდ ნავია, ჩაჯექი, მოუსვი ნიჩაბი და გადიო, უპასუხნია გლეხს. ამის შემდეგ დაერქვა მანავი.

მთქმელი — ნინო ტაბატაძე (41 წ.),  
ჩამწერი — ლილა ბაქიტაშვილი, საგარეჯოს რაიონის თოხლიაურის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



დიდ გარჯაში გავიზარდე,  
გლეხო, შენი ოფლის ღვრითა.  
ჯერ ხომ მიწა მომიშადად  
ბარითა და ნიჩაბითა,  
მერე თავს დამტრიალებდი,  
სულ იტეხდი ჩემთვის ძილსა,  
წამალს დროზე მასხურებდი,  
მიმაგრებდი ხელით ძირსა.  
საგაისოდ მოიკითხე  
სამამულე ჩემი რქისა,  
ისეთ მტევნებს გამოვისხამ,  
არ ჩავიდეს გოდრის პირსა.  
საწნახელი მომიზადე  
წაბლისა და წიფელისა,  
დიდი ქვევრიც მომიზადე,  
სარცხლით გამირეცხე ისა.  
თაღარც კაი დამიდგი,  
თიხისა და არა ხისა,  
ყველაფერს ისე ავივსებ,  
ჭურჭელი ვერ ნახო წყლისა,  
სტუმრებისთვის მზად იქნები,  
არ მოგაკლებს ღმერთი ღვინსა.

მთქმელი — სოფიო ზაქარიას ასული  
ლონგურაშვილი (80 წ.), ჩამწერი —  
ალექსანდრე ცოტნიაშვილი, ქ. ცხინ-  
ვალის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის  
მოსწავლე.



თბილისი, ჩვენო თბილისი,  
ათასჯერად მოელვარეო,

## ქაქუა

უძველეს დროში კახეთს მტრები შეესივნენ. სახლები  
მიანგრ-მოანგრის, მოსახლეობა ააწიოკეს. უცებ ერთი  
ნანგრევიდან ქალმა თავი გამოყო, თვალის ცეცებით მი-  
იხედ-მოიხედა და მინდვრებისკენ გაიქცა, იქნებ ტყემდე  
მივალწიო. თავდამსხმელებმა შენიშნეს, ცხენებზე ამ-  
ხედრდნენ და დაედევნენ. რომ დარწმუნდა, დამეწევი-  
ანო, გაბოროტებულმა ქალმა გულში გაივლო. ამ მხეცე-  
ბის ხელში ჩავარდნას, ნეტავი აქვე გავქვავდებოდეო.  
ამის გაფიქრება იყო და მართლაც გაქვავდა. ჩვენი სოფ-  
ლის ბოლოს ერთი დიდი ქვა არის აყუდებული, რომე-  
ლიც ქალს ჰვავს, მას ყველა ქალქვას ეძახის.

მთქმელი — სონა ჰინჭარაშვილი (56 წ.),  
ჩამწერი — უზანო ბურღიაშვილი, ქ. თელავის II  
საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## სოსელი ნასამხრელი

ერეკლე მეფე თავისი რაზმით თავდამსხმელებს დაე-  
დევნა. ბევრი დახოცა, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს.  
რომ მობრუნებულა, ერთ სოფელში შეუხვეწია და უთ-  
ქვამს: რახან მტერი დავამარცხეთ, ერთი კარგი სამხარი  
გვეკუთვნისო. მართლაც, დამსხდარან და უსამხრიათ.  
ამიტომ იმ სოფელს ნასამხრალს ეძახიან.

მთქმელი — თამარ სოსოშვილი (52 წ.),  
ჩამწერი — დარო ბათურიშვილი, ახმეტის რაიონის  
მატნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ერთი შენა ხარ ლამაზი,  
მეორე — მზე და მთვარეო.  
წარსულში ბევრჯერ გადაგწვეს,  
იყავი მგლოვიარეო,  
დაღუბულ მამაც შვილებზე  
მდულარე ცრემლი ღვარეო.  
ოქტომბრის შუქმა გაგათბო,  
დღე დაგვიწეა მწარეო,  
გაბედნიერდი, გალადდი,  
ამაღლდი, გაიხარეო.

კვლავ დიდი გამარჯვებანი  
და სიხარული თვალებო,  
ნუ ჩამთვლი ბერიკაცადა,  
ჭაბუკად მიმითვალეო.

მთქმელი — ვანო ამრაზიშვილი  
(70 წ.), ჩამწერი — მარინა ამრაზი-  
შვილი, ყვარლის რაიონის ახალსოფ-  
ლის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლა-  
სის მოსწავლე.

# ლეონი კახიანი

ძველად, სვანეთის საძოვრებთან ახლოს, ერთ დიდ გამოქვაბულში სამთავიანი ურჩხული ბინადრობდა. ვინც იმ საძოვრების ახლომახლო გაიჭაჭანებდა, ურჩხული ყველას ანადგურებდა. მასთან შებრძოლებას ვერავინ ბედავდა. ბოლოს ერთი ვაჟკაცი გამოჩენილა, კახანი რქმე-ვია. დიდი, ვეება კიბე გაუკეთებია და წაუღია. რომ მიახლოებია. იქაურო-

ბა დაუზვერავს, ისეთი დრო შეუტრ-ჩევია, ურჩხულს რომ სძინებია. მი-უდგამს კიბე კლდეზე, ასულა და ურჩხულისთვის მშვილდ-ისარი უკვ-რია. ისარი შიგ მკერდში მოუტრ-ყამს. ურჩხულს გაღვიძებია და დას-დევენებია. კახანი ჩამომხტარა კიბი-დან, თავის შავრაზე შემჯდარა და გაქცეულა. ურჩხული სულ მალე სისხლისაგან დაცილია და მომკვ-დარა.  
ზემო სვანეთში კახანის პატივსა-ცემად საგანგებო სადღეგრძელო ისმება. ხალხი, სხვა სახელოვან ვაჟ-კაცებთან ერთად, მადლობით იხსე-ნიებს უძველეს ლეგენდარულ გმირს კახანს.



მთქმელი — გიორგი ფირცხელიანი, ჩამწერი — მაია ფირცხელიანი, მეს-ტიის რაიონის ლატალის საშუალო სკო-ლის VI კლასის მოსწავლე.

# ჩემი პატარა მაიას



ლექსებ მინდა დაგუწერო ჩემს პატარა მაიასა, სიკეთე მსურს რომ ვუსურვო ამ პატარა ბაიასა.

ოჯახში რო ბაღდ ტიკტიკებს იმაზედ კარგ რაი ასა? — სრუ ყველაზედ „ეთს“ იდახის, შვიდი ას თუ რვაი ასა.

ზოგჯერ კობას ეჩხუბების — ბეწიკუა ძმაი ასა. კარგ ამ ქვეყნად ყველა მიყვარს, მაგრამ შვილ სრუ სხვაი ასა.

მთქმელი — შალვა ზოლიკაური, ჩამწერი — კობა ზოლიკაური, თი-ანეთის რაიონის ღულელეების საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

# ამა თუ ისინი ენძელა?

ენტავი შენ, ენძელაო, სამჯერ მოხვალ სერზედაო, მე კი ერთხელ გამოვჩნდები შარაზე და ხევზედაო, ბიჭები ქულზე მაჭკნობენ, გოგუები — ყელზედაო.

მთქმელი — გიგუტა ალექსანდრას ძე ბარშაშვილი (70 წ.), ჩამწერი — თეიმურაზ ბარშაშვი-ლი, ქარელის რაიონის ფციის საშუ-ალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## კახიანი

გზა ვინც იცის, ფეხს არ წამოკრავსო.  
აქლემი ისე არ გახდება, რომ ცხენისოდენი მაინც არ დადგესო.  
ავი კაცი ზეიმზეც ავიათ.  
თუკი ცოდნით ავივსებით, ვაჟკაცებად გავიზრდებით, ავმაღლდებით, გავმხნევედებით, სასახელოდ დავბერდებით.  
უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.  
შრომა-გარჯით ნაშოენი ლუკმა ტკბილიათ,  
სწავლა სალესავია, კაცს ფხას აძლევსო.  
ტურა ტოროლას გალობას ასწავლიდაო.

მთქმელი — მარო გოგინაშვილი (71 წ.),  
ჩამწერი — თინა გოგინაშვილი, სიღნაღის რაიონის ქვემო მაღაროს საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

# კახიანი

მარტი მოდის მწვანე კაბით, გაზაფხულდა, გაზაფხულდა, გაიღვიძა მიწის გულმა, ყველაფერი ახმაურდა.

რას გვიქვია უქმად ყოფნა, შრომა გვიხმობს დიდ-პატარას, ზვარს მივხედოთ, ბაღს მივხედოთ, მოვეფინოთ მინდორ-ყანას.

მთქმელი — ელენე ბრიგოლის ასუ-ლი ბერიძე (42 წ.), ჩამწერი — გე-ლა ბერიძე, საჩხერის რაიონის ჭორ-ვილის საშუალო სკოლის VII კლა-სის მოსწავლე.

# შენ ჩემი კარის კენახი

შენ, ჩემო კარის ვენახო, სულ ასე სავსედ მენახო, შენგან შორს არაფერი ვარ, ფალავანი ვარ შენს ახლოს. ვინც ავი თვალით შეგხედოს, დამიწებულები მენახოს.

მთქმელი — თამარ ბრეზვაძე (80 წ.), ჩამწერი — დომან ბრეზვაძე, საჩხე-რის რაიონის საირხის საშუალო სკო-ლის X კლასის მოსწავლე.



# პ ე მ გ ა ლ ე ბ ი თ



ნორე კორეასონდენტო პარალი № 1

## ძვირფასო რედაქცია!

მე და ჩემი თანაკლასელი ნოდარი საბავშვო ბაღიდან მოყოლებული ვმეგობრობდით. აგერ უკვე VI კლასის მოსწავლეები ვართ და უერთმანეთოდ არსებობაც კი ვერ წარმოგვედგინა. ერთმანეთის ხათრით მომავლის პროფესიად ორივემ გეოლოგობა ავირჩიეთ. გვინდოდა უმაღლესშიც ერთად გვესწავლა და ცხოვრებაშიც ერთად გვევლო, მაგრამ...

აი, სწორედ ამ „მაგრამა“ გადამაწვევტინა თქვენთან წერილის გამოგზავნა. აი რა მოხდა:

გეოგრაფიის გაკვეთილის დაწყებამდე ნოდარმა შინიდან წამოღებული ბურთის კენწლაობა დაიწყო (გაკვეთილების შემდეგ ფეხბურთის სათამაშოდ უნდა წავსულიყავით), მერე თანდათან ეშხში შევიდა და ერთი-ორჯერ ბურთს მაგრად გაჰკრა ფეხი. მორიგემა დაუშალა, მაგრამ ნოდარი არ შეეპუა და გიბრზე კიდევ უფრო ღონივრად მოიქნია ფეხი. ბურთი კარადის მინას მოხვდა, მინა ჩაიშხვრა, კარადის თავზე დადგმული გლობუსიც ჩამოვარდა და გატყდა. ნოდარი არ დაიბნა, სტაცა ბურთს ხელი, მერხში შემაღა და მთელი კლასის გასაგონად დაიძახა: ვინც მასწავლებელს რამეს ეტყვის, მშიშარა და ამხანაგის მოლაღატე იქნება. ახლა ვნახე, რა ამხანაგობაც შეგიძლიათო. ამასობაში ზარი დაირეკა. შემოვიდა მასწავლებელი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა. დამავიწყდა მეთქვა, წელს ახალ სკოლაში გადავიდით, აქ ყველაფერი ახალია (კაბინეტებიც, ხელსაწყოებიც, მერხებიც). მიუხედავად მასწავლებლის დაჟინებული მოთხოვნისა, მთელი კლასი დუმდა, ყველა იძახდა — არ ვიცი, არ დამინახავსო. გაკვეთილი რომ დამთავრდა, შესვენებაზე მე ვედარ მოვითმინე და ნოდარს ვუთხარი, მშიშრობა და ამხანაგების ლაღატი სწორედ შენი საქციელია, შენი მიზეზით მთელი კლასი რატომ უნდა დაისაჯოს-მეთქი.

ნოდარი საშინლად გაბრაზდა. დღეის იქით ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა, გავიგე, რა მეგობარიც მყოლიხარო. ბევრი ვეცადე დამერწმუნებინა, რომ ის სცდება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

უკვე მესამე თვეა, დამღურებულები ვართ.

ძვირფასო რედაქცია, ძალიან გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ „აისში“, მინდა ჩემმა თანატოლებმა წაიკითხონ და აზრი გამოთქვან, ჩვენ ორში რომელი მოიქცა სწორად.

თამაზ ბ.

ჩვენი სკოლის რაზმეული გულმოდგინედ ემზადება დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. პიონერთა ოთახში გაკეთდა სტენდი „დიდი ოქტომბერი“, სადაც გამოკრულია რევოლუციური ბრძოლების ამსახველი ფოტოები. აქვეა მეორე სტენდიც — ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი.

№ 1 რაზმი, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამევალა, მონაწილეობს პიონერთა რაზმების დაუსწრებელ მოგზაურობაში — „დიდების გზით“. კლასის ხელმძღვანელ მ. ძმანაშვილთან ერთად შევადგინეთ ჩვენი პიონერიული საქმიანობის ამსახველი ფოტოალბომი, უკვე წარმატებით გავიარეთ სადგური „ავრორა“; მივიღეთ საგზური, რომლითაც უფლება გვენიჭება განვაგრძოთ მოგზაურობა. ვმეგობრობთ ბამის მშენებელ ქართველებთან, წარმატებით ჩავატარეთ ზეიმი „25 თებერვალი — საქართველოს გააფხულები“.

ნინო ძაღაშიძე,

წითელწყაროს რაიონის მირზანის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## პირნათლად შევხებუბოთ

რაზმი რაზმს, რგოლი რგოლს ეჯიბრება ჩვენს სკოლაში სწავლასა და შრომაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, სანიმუშო დისციპლინისათვის. ხშირად ვატარებთ ლიტერატურულ დილა-სალამოებს, კონცერტებს, გაცხოველებული მუშაობაა ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, უცხოური ენის წრეებში. არც საორტულ თამაშობებს ვივიწყებთ. ვაწყობთ შეჯიბრებებს ჭადრაქსა და შაშვში.

ერთი სიტყვით, ვცდილობთ პირნათლად შევეგებოთ დიდ ზეიმს — ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს.

ნატო ხარშილაძე,

სახჩერის რაიონის ნიგვზარის 8 წლიანი სკოლა, VII კლასი.



„ირამო მთასა მჰვირალო...“

დათო კინწურაშვილი. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, V კლასი.



**ჩ**ვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე ყოფილი უფროსი პიონერხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ელენე ესაკია მოვიწვიეთ. მას მხოლოდ ერთი შეკითხვა მივეცი:

— 28 წლის მანძილზე პიონერ-მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში პიონერული აქტივიდან როგორი ღირსების მქონე მოსწავლეს გამოარჩევდით?

— შრომისმოყვარეს! უფროსი პიონერხელმძღვანელს საოცრად უმსუბუქდება შრომა, როცა გვერდში დაუზარელი, შრომითი ოპერაციების თაოსანი გოგონები და ბიჭუნები უდგანან. მე მუდამ გგონობდი მათ დახმარებას. დიახ, სრულ სიმართლეს ვამბობ. ისინი მე მუშაობაში მეხმარებოდნენ.

საინტერესო საქმეების გახსენებას წლებს, გვარების მოგონება მოჰყვება ხოლმე.

ვლადიმერ ხუციშვილმა ორი წელიწადია ჩვენი სკოლა დაამთავრა; ახლა იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტია. ვლადიმერი სკოლაში სწავლის ხუთოსანი იყო. პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, რაზმეულის საბჭოს წევრი, ხეცერის შრომისა და დასვენების ბანაკის შრომისკ გამირა. ასეც ეწერა შემდეგ სკოლის დერეფანში გაკრულ მისი სურათის ქვეშ.

კარგი ტრადიცია გვაქვს: ზაფხულის პერიოდში შრომაში მოყვითობისათვის რაზმეულის საბჭო საუკეთესოებს შრომის გამირის წოდებას ანიჭებს. მასხოჯა, პირველი ვიმპელიკ ვლადიმერის რაზმმა მიიღო. ხეცერაში ყველაზე მეტი ჩაის ფო-



პიონერული აქტივის კლუბი

# უნივერსალური კომუნა

თოლიც მისმა რგოლმა მოკრიფა, წლები გადის. სკოლა კი შრომისმოყვარე რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს არ ივიწყებს...

თემურ გოგიაშვილი ამჟამად VII კლასის რაზმის საბჭო თავმჯდომარეა. თემურს ყველა იცნობს. ამ მოუსვენარ ბიჭს მუდამ შრომის ვახტზე შეიხედებოთ. მისმა კლასმა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი მოაწყო. ახლა თემური საქვეყნოდ ცნობილი, სოციალისტურა შრომის გამირის კონსტანტინე ილერიძის საქმიანობას სწავლობს, ამ დიდებულ ადამიანთან მეგობრობს.

თუ პლასტმასის ქარხანაში პიონერებთან მეგობრობას ახსენებთ, ვაჟა ქერდიყოშვილს დაგისახელებენ; ვაჟა ადრე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იყო, ახლა კი მეცხრე კლასის კლასბიუროს მდივნად აირჩიეს. ვაჟა კარ-

გად იცნობს პლასტმასის ქარხნის მუშაობის სპეციფიკას, მუშებს.

წლების მანძილზე ირჩევდნენ თანატოლები რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ მედიკო გუზიჩაევას დამკლავებული მედიკო შრომითი ოპერაციების დროს თვითონ იყო სხვებისთვის მაგალითის მიმცემი; იგი ახლა სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეა. შარშანდელი შრომითი ზაფხული სკოლის მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში გაატარა. საქმე თავხესაყრელი ჰქონდათ — თივის ადებო, დაბუღუღებო, თონიცი იჭირათ ხელში და ხეზეც გავიდნენ ხილის საკრეფად. მედიკოს წინამძღოლობით კარგად იმუშავა შრომითმა ბრიგადამ, სკოლის მისამართით მეურნეობიდან ბევრი მადლობა მოვიდა.

მარინე კეშელა-

ვას დაიწყებაც არ შემიძლია. ის უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია; ჩვენთან რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ერთ საღამოს გავიხსენებ. ლითონის ნამსხვრევის შესაგროვებლად დიდუბისაკენ, რკინიგზის მარჯვენა მხარეს მდებარე მიდამოებსაკენ დავიძარიით. მაშინ იქით ამდენი ახალმშენებლობა როდი იყო. თითქმის გოზაურზეც გავედით და სკოლას კარგა მანძილით დავშორდით. ლითონის ნამსხვრევის ძებნა-ძებნაში ბავშვები გამეფანტნენ... ჩამოხეხილდა. ვიფიქრე, ალბათ შინ წავიდნენ-მეთქი. თურმე, მოგტყუვდი. გვიან ღამით მალეგმსობოლი გამომიგზავნეს, სკოლის ეზოში ლითონის ნამსხვრევის დიდი მთა აღვმართეთო. შინ წასვლა აღარ გვიფიქრია, სასაუბრო არ გველიოდა, ბეგრიც ვიმღერეთ, სამაგიეროდ, მთელი მინდვრები გადაუჩხრიკეთო. როცა ჩამოხეხილდა, გავგეზარდა კიდევ ფათერაკებს ვეძებდით, გვინდოდა, იმ მინდვრებში შიშოც გამოგვეცადა და მეგობრობაცო. ახლაც მახსოვს მარინეს სიტყვები: ნუ გავგიჯავრდებით ხელმძღვანელო, უყურადღებოდ არაიენ დაგვიტოვებიაო.

ერთ ზაფხულს ჩიორა აფციური არდადეგებს თიანეთის რაიონის სოფელ ბალებისხევის კოლმეურნეობაში ატარებდა და 63 შრომადღე გამოიმუშავა. იგი მაშინ რაზმის საბჭოს წევრი იყო. შრომადღეებზე სხვა გასამრჯელოსთან ერთად თურმე ერთი ბატკანიც ერგო. ჩიორამ იგი სკოლაში მოიყვანა, ცოცხალ კუთხეს გადასცა. ბატკანს მთელი სკოლა უვლიდა. სხვათა შორის, იმ ზაფხულს რაზმეულის საბჭოს დავალება ასეთი იყო: სოფლად წასული თუ ქალაქში დარჩენილი პიონერი უთუოდ შრომით



საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით

საქმიანობაში უნდა ჩაბმულიყო, უნდა მოემზადებინა სკოლისათვის სასექტემბრო საჩუქარი. როცა არდადეგებიდან დაბრუნებულებმა რაზმეულის შეკრება „დავისვენეთ, ვიმრომეთ და სკოლას საჩუქარი მოვუტანეთ“ ჩაატარეს, ჩიორას გარდა სხვებიც მოვიდნენ ხელდამშვენებულნი. ერთმა 60 მტრედით მოიყვანა, მეორემ — ბოჩოლა, 13 ქათამი. (კვერცხმდები ქათამები ბავშვებს ცოცხალ კუთხეში, საქათმეში ჰყავდათ. რაზმეულის საბჭოს განკარგულებით კვერცხებით სკოლის ბუფეტში ხელმოკლე ბავშვებს უმასპინძლებოდნენ). ეს იყო მეგობრობით განმტკიცებული შრომის სიხარულის ნაყოფიც, ერთმანეთისათვის ზრუნვაც. მათში ერთი რამ მნიშვნავდა — შრომისმოყვარეობა მათ სისხლ-ხორციში ჰქონდათ გამჯდარი.

ლალი დოლიძე, მზია გობეჯიშვილი, რამაზ შორჩიანი, გივილი, რამაზ გი-

ვილი, თეიმურ ცქიტიშვილი დღემდე ვერ დაუვიწყებია სკოლას, თითქოს ახლაც ყურში ჩაგვესმის ყოველ მზაბათ-კვირას მათი შრომის ბრიგადათა ჩაქუჩების კაკუნი. ერთ ზაფხულს სკოლას მიმდინარე შეკეთება მთლიანად თემურის ბრიგადამ ჩაუტარა.

მთელი სკოლის სიხარულად იქცა ისიც, რომ შრომისმოყვარე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რამაზ გივილიშვილი საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა საზღვარგარეთ მოგზაურობის საგზურით დააჯილდოვა და ბულგარეთის ერთ-ერთ საუკეთესო პიონერთა ბანაკში დაისვენა.

სკოლაში შრომისმოყვარე აქტივის კარგი ტრადიცია კვლავ გრძელდება. მაგალითად, მერვე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ლონდა კობახიძე მთელ სკოლაში მორიგეობის საუკეთესო მომწესრიგებელია. ასევე დაუზა-

რელია ნონა მანია — „ცისკრის“ შტაბის მეთაური.

მამუკა ლომიძე ჩვენი სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, VII<sup>2</sup> კლასში სწავლობს. მისი რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ მამუკას დახმარებით სოციალისტურ შეჯიბრებაში პლასტმასის ქარხნის კომკავშირული ბრიგადა გამოიწვია. ბრიგადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი „60 დამკვირვებელი კვირასთან“ დაკავშირებით შრომობს.

...წლიულს საინტერესო აპრილი გვაქვს. ჩვენი სკოლა დედაქალაქის ლენინის რაიონში მდებარეობს, შრომითი ტრადიციებით განთქმულ რაიონში. აპრილის დღეები შრომითი ოპერაციებით აღინიშნება. სკოლის მომიჯნავე ინდუსტრიალიზაციის, სტახანოვის, ღრმალელის ქუჩებს მთლიანად პიონერები მოუყლიან. ამ ქუჩებზე რაზმეულის საბჭოს პიონერული საგუ-

შაგოები აქვს მოწყობილი რაზმეულის საბჭოსთან და კომკავშირის კომიტეტთან არსებული შრომის ბრიგადები მოუწესრიგებელს არც სკოლის კუთხე-კუთხულებს დატოვებენ. ბრიგადათა ერთი ნაწილი სასკოლო საცდელ ნაკვეთზე საგაზაფხულო თესვას ჩაატარებს, პიონერული რაზმები ლითონის ნამსხვრევსა და მკულატურას დაახვავებენ ეზოში, ხოლო გამარჯვებულთ ლენინური შაბათობისათვის დაწესებული ვიმპელი გადაეცემათ.

ერთი ჯგუფი სოცმეჯიბრებაში გამოწვეულ პლასტმასის ქარხნის კომკავშირულ ბრიგადას ესტუმრება, უფროს მეგობრებს საამქროს დაუფთავებაში მიეხმარება.

სკოლის პიონერთა ოთახის ერთ კუთხეში გამოფენილია რაზმეულის „შრომის გმირ“ პიონერთა, ვიმპელებისა თუ გარდაამავალი აღმების მფლობელი პიონერული კოლექტივების ფოტოები, გეგ-

# სინფელსა სიხარული

შაქარი სიმინდისაგან

სიმინდის სახამებლისაგან მიღებული შაქარი უნგრელი ქიმიკოსების ახალი მიღწევაა.

თვისებებით ახალი შაქარი ჭარხლისა და ლერწმისას ჰგავს, საწარმოო ხარჯები კი 20-30 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ჭარხლისაგან შაქრის დამზადების დროს. ერთი ცენტნერი შაქრის ჭარხლისაგან შეიძლება არაუმეტეს 26 კილოგრამი თეთრი შაქრის მიღება, ხოლო ერთი ცენტნერი

სიმინდის მარცვალი იძლევა 60 კილოგრამ შაქარს. ამასთან წარმოების ნარჩენები გამოიყენება სიმინდის ზეთის მისაღებად.

სიმინდის შაქრის საცდელი პარტია უკვე გადაეცა საშაქარლამო წარმოებას.

პოლარული წყალქვეშა

ნორვეგიელი ინჟინრების დიდი ჯგუფის ხუთი წლის შრომის შედეგად შეიქმნა ნახევრად წყალქვეშა ტანკერ-ყინულმჭრელის პროექტი. იგი მეტად უჩვეულო კონსტრუქციისაა. ხომალდის კორპუსი, რომელსაც ვეშაპის ფორმა და 360 მეტრი სიგრძე აქვს, წყალქვეშ დაახლოებით 5 მეტრი სიღრმეზე იმყოფება. წყლის ზედაპირზე რჩება მხოლოდ


ორი ზედნაშენი. ერთი მათგანია ფოლადის მასიური დახრილი დანა, რომელსაც შეუძლია 3,8 მეტრი სისქის ყინულის გაჭრა. ამ მოწყობილობის თავზეა განლაგებული კაპიტანის ბოგირი და სხვა სანაოსნო საშუალებები. მეორე ზედნაშენი განკუთვნილია საბოტისა და ძრავებისათვის. ასეთ ნახევრად წყალქვეშა ტანკერს შეუძლია 230 ათასი ტონა ნავთობის გადატანა.

ფოლადის ბოთლები

აშშ-ში გამოუშვეს უჩვეულო ბოთლები ლუდის, წვენიებისა და ხილის სასმელებისათვის. ეს ბოთლები დამზადებულია უჟანგავი ფოლადის თხელი ფურცლებისაგან. ასეთი ტარა ხომ



უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მინისა და ალუმინისაგან დამზადებული? საქმე ის არის, რომ ამ სიახლის თანავტორები ინჟინრებთან ერთად იყვნენ ეკონომისტებიც. სწორედ მათ გამოიანგარიშეს, რომ ახალი ბოთლების არაერთჯერადი გა-



მეზი, ხეცერისა და ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში გატარებული ღლეების ამსახველი დღიურები. ყველაფერი ეს რაზმეულის შრომითი საქმიანობის კარგი მატიანეა. აი სტრუქტურები ამ დღიურებიდან.

„...ხეცერა. „ოქროს საწმისი“. ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მოგვნიბლა. რა ლამაზია აქაურობა!“

„...კომისარი ლ. ბაინდუროვი მართლაც ამდელი კომისარია! მასთან ერთად ვიმსჯელებთ საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსის ერთერთ მუხლზე „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

„...დღეს ბრიგადორმა შენიშვნა მოგვცა: არ არის საჭირო ხელეებით ლაპარაკი, აზრი სიტყვებით უნდა გამოიხატოს; პიონერი აქტივისტი თანატოლებისადმი მუდამ ალერსიანი და გულთბილი უნდა იყოს, არ უნდა უწოდოს ამხანაგებს მეტსახელები“...

„...ხეცერის ჩაის ფაბ-

რიკაში ჩაის დამზადების ტექნოლოგიას გავეცანით. საინტერესოა!“

„...ბრიგადირმა ზ. კუტალიამ გვითხრა, გულმოდელი თქვენი მოკრეფილი ჩაი წუნდებულიაო. ეს სიტყვები მეხივით დაგვეცა. მთელი დღე ისე ვკრიფეთ ჩაი, ხმა არ ამოვივლია. ვცდილობდით, დღეს მაინც არ შევრცხვენილიყავით. საღამოს ფეხბურთი ვითამაშეთ ხეცერაში ჩვენსავით სამუშაოდ ჩამოსულ თბილისის 33-ე სკოლის მოსწავლეებთან. დავმარცხდით.“

„...დღეს ძალზე კმაყოფილი ვარ. 13 კგ ჩაი მოვიკრიფე. პირველ ხუთდღიურში ჩვენმა რაზმმა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 520 კგ „მწვანე ოქრო“.

„...ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში როცა პირველად ხელში თხები მოგვცეს, თითქოს გვეუცხოვა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ. მეურნეობის დირექტორმა ზაალ მემანიშვილმა მეცხოველეობის ფერმაში გავგვზავნა.

ფერმის მუშაკები გულთბილად შეგვხვდნენ“.

„... იცი თუ არა, რომ მეორე რაზმიდან „მწვანე ოქროს“ კრეფაში გამოიჩინეიან დ. ნოქარაშვილი, თ. მეტრეველი, თ. მესხია... სისუფთავის დაცვაში — გოგონების მეოთხე, დისციპლინაში მეორე რაზმი...“

გრძნობ, რომ ამ ჩანაწერების მიღმა მოჩანს პიონერული შემართება, მეგობრობა, ხალისი და მოუსვენრობა, რომელიც მუდამ ახლავს შრომისმოყვარე ბავშვების ცხოვრებას.

სულ მახსოვს ჩემი აღზრდილი პიონერის, მარინე კეშელავას სიტყვები: „ლენა ხელმძღვანელო, სულაც არ არის შრომა დამღლევი, როცა ხედავ, რომ მეგობრებაც გვერდით მოგყვებიან; ვშრომობთ და ვერთობით კიდევ, ამ დროს თავს წამოყოფს უამრავი სასაუბრო თემა, გვახსენდება სიმღერები და უფრო ახლოს ვეცნობით ერთმანეთს“. მარინე ახ-

ლახან შემხვდა და, იცით, რა მითხრა? უნდა ვერ დავივიწყებთ ბია. იმ დროს რა შეედრება, როცა მე და ჩემი თანარაზმელები ერთად ვსწავლობდით და ვშრომობდითო.

ასე იცის პიონერულმა წლებმა და, თუ რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები, რეგალის ხელმძღვანელები ამ პერიოდს გონივრულად, თავის თავისა და მეგობრების სასარგებლოდ წარმართავენ, შრომას არ დაიშურებენ, ეს წლები მათთვის იმ მომავლის საფუძველთა საფუძველია, როცა ისინი, ახალგაზრდა სპეციალისტები, სადაც უნდა მოხვდნენ, ყოველთვის შეძლებენ კოლექტივის წევრთა გარს შემოკრებას, შრომითი კოლექტივის გაძლიერების უნარის გამოძღვანებას.

საუბარი ჩაიწერა ნათელა ფაილოძემ.

მოყენების შესაძლებლობის გამო მათი წარმოება ძალზე მომგებიანია.

**ჭაობი**  
ზღვარსნებს

მე-16 საუკუნის ესპანელი და ინგლისელი ზღვაოსნების ქრონიკები იუწყებიან, რომ ხანგრძლივ მოგზაურობაში წასვლის წინ მეზღვაურები იმარაგებდნენ სასმელ წყალს, რომელსაც იღებდნენ არა მდინარეებიდან, არამედ ჭაობებიდან.

მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ ეს ცნობები. გამოიკვია, რომ ზოგიერთი ჭაობის წყალი შეიცავს ანტიბიოტიკებს, რომლებიც ხელს უშლიან მიკრობებისა და მიკროწყალ-

მცენარეების გაჩენას. ესენი კი, როგორც ცნობილია, წყალს გემოს უფუჭებენ და სასმელად უვარგისს ხდიან.

**ქალაქი**  
პალმის  
ფოთლებისაგან

ერაყელი ინჟინრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ



ფინიკის პალმის ფოთლებისაგან შეიძლება ქალაქის დამზადება. ეს ნედლეული კი ერაყში თავსაყრელია. ბასრის ქალაქის ფაბრიკამ პალმის ფოთლებისაგან უკვე დაამზადა ასიტონა ქალაქის მასა. ეს ცდა იმის მაუწყებელია, რომ ერაყი სულ მალე შეძლებს ქალაქზე მოთხოვნილება საკუთარი წარმოებით დაიკმაყოფილოს.

**ახალი**  
ლიპტოზონი...

... გამოჩნდა საფრანგეთში. ჩვეულებრივი მაგნიტოფონის ლენტის ნაცვლად მასში გამოიყენება ქალაქის ლენტი, რომელსაც მაგნიტური ნაფენი აქვს. 12 სანტიმეტრი სიგანისა და 30 მეტრი სიგრძის გორგო-



ლაჭზე შეიძლება რამდენიმე ასეული გვერდი ტექსტის ჩაწერა. ახალ მოწყობილობას ბევრი უპირატესობა აქვს: ჯერ ერთი, ქალაქის ლენტზე ხერხდება წერილობითი შენიშვნების გაკეთება, მეორეც, ლენტი შეიძლება დაჭრათ გვერდების მიხედვით და ჩვეულებრივ საქალაქში შეინახოთ.



ბავშვებო, ალბათ დაგვერწმუნებით, რომ ჯერ კიდევ ხშირია ავადმყოფობის მიზეზით გაკვეთილების გაცდენა.

არცთუ ისე იშვიათად ზოგიერთი თქვენგანი ადვილად ცივდება, უჩივის მხედველობას, აწუხებს ხერხემლის გამრუდება და სხვ.

იმისათვის, რომ ფიზიკურად ჯანმრთელნი და საღ-საღამათნი იყოთ, საჭიროა ექიმი-სპეციალისტის რჩევა-დარიგებათა გათვალისწინება. თუკი მოიწადინებთ და ყურად იღებთ ამ დარიგებებს, საკუთარი მეცადინეობით ადვილად შესძლებთ ვაკაუთოთ სხეული.

აღნიშნულ საკითხებს ეხება წერილების ციკლი, რომელთა გამოქვეყნებასაც ჟურნალის ამ ნომერში ვიწყებთ.

ქვემოთ გთავაზობთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პედიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის განყოფილების ხელმძღვანელის ე. გერის წერილს — „მოსწავლის კვება“.



# მოსწავლის

## კვება

ბავშვებო, თქვენი ორგანიზმის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სწორად ორგანიზებული რეჟიმის პირობებში. არსებობს კვების ასაკობრივი რეჟიმი. მაგალითად, 7-11 წლის ბავშვი, რომლის წონა 25-26 კგ-ია, უნდა იღებდეს 75 გრ ცილას, ამდენსავე ცხიმს და 300 გრ ნახშირწყალს, რაც ერთად 2235 კალორიას იძლევა.

საკვებ პროდუქტებს ორგანიზმი იყენებს არა მარტო ენერგიის შესაქმნელად,

არამედ წონისა და სიმაღლის მომატებისათვის, ცალკეული უჯრედებისა და ქსოვილების აშენებისათვის. ტვინის უჯრედების ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ცილები. ცილა არის მცენარეული და ცხოველური წარმოშობისა. ეგრეთ წოდებულ სრულფასოვან ცილებს შეიცავს ხორცი, თევზი, კვერცხი და რძის პროდუქტები (რძე, ხაჭო, ყველი, მაწონი და სხვა).

ცილის რაოდენობა მოსწავლის საკვებში არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.

ფრანგმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცილების ნაკლები რაოდენობით მიღება აფერხებს ტვინის უჯრედების გამრავლებას და ზღუდავს ტვინის განვითარებას.

ცილის გარდა საჭიროა ცხიმის (კარაქი, ნაღები, არაჟანი, ზეთი) მიღება. საკვებში ცხიმის, როგორც გადაჭარბებული, ისე ნაკლები რაოდენობა არ არის სასურველი.

გასუქება აქვეითებს ორგანიზმის გამძლეობას დაავადებისადმი და არღვევს ნივთიერებათა ცვლას.

ცხიმი უნდა მივიღოთ ცილის თანატოლად, ცილასა და ცხიმთან ერთად უნდა მიიღოთ ნახშირწყალიც (პური, ტკბილეული, ბოსტნეული, ხილი, ბურღული).

პატარებო, ტკბილეულის გადაჭარბებული მიღება მავნებელია, რადგანაც ადვილად გადადის ცხიმში. მასთან ერთად აქვეითებს მადას, საჭმლის მომწოდებელი წველების გამოყოფას და საკვების შეთვისებას. ამის შედეგად ორგანიზმი წონაში კლებულობს, ჩერდება მისი სიმაღლეში ზრდა.

მალალი, ახოვანი, დაავადებისადმი გამძლე რომ იყო, საკვები უნდა მიიღო გარკვეული რაოდენობითა და თანამიმდევრობით. ტკბილეული და ხილი უნდა მიიღო სადილის დროს, პირველი და მეორე კერძის შემდეგ, რათა არ დაქვეითდეს კუჭის წველის გამოყოფა და არ შეფერხდეს ცილისა და ცხიმის შეთვისება.

დიდი მნიშვნელობა აქვს კვების რეჟიმის დაცვას — ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს საკვების მიღებას, რათა დროზე გამოთქმავდეს კუჭის წვენი. დღის განმავლობაში საკვები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: ნოყიერი და ხორცისაგან დაშვადებული კერძი უნდა მიიღოთ დღის პირველ ნახევარში (როცა ხარჯავთ მეტ ენერგიას), დღის მეორე ნახევარში კი — უფრო მსუბუქი საკვები, როგორც არის რძისა და ბოსტნეულის ნაწარმი, ნაკლებ ტკბილი და ნაკლებ მარილიანი, რათა ღამით წყურვილმა არ შეგაწუხოთ და არ დაირღვეს ღრმა და

მშვიდი ძილი. თქვენს ორგანიზმს სითბვეს, ესაჭიროება. მას ინაზღაურებთ წყლის გარდა, წვნიანი კერძით, ხილის წვენებით, კომპოტით, კისელით.

დღეში უნდა იკვებოთ ოთხჯერ, თითო კვებაზე სასურველია ორი ან სამი სახის საკვები. ვახშამს შეეჭყიტოთ და ძინებამდე 1-2 საათით ადრე. კარგია ბოსტნეულისა და მარცხის მიღება, რაც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

გარდა ცხიმისა, ცილისა და ნახშირწყლისა აუცილებელია მარილების მიღება (სუფრის მარილი, კალციუმი, ფოსფორი, რკინა და სხვა), რითაც მდიდარია რძის ნაწარმი და ბოსტნეული.

თუ თქვენი წონა ნორმაზე ნაკლებია, უნდა გაძლიერდეს ცხოველური წარმოშობის საკვების მიღება. თუ პირიქით — მეტია, მაშინ საკვებში უნდა შეამციროთ ცხიმი და ნახშირწყალი.

სპორტულ სექციაში მეცადინეობისას დიდი რაოდენობით იხარჯება ენერჯია. ამიტომ საჭიროა საკვები რაციონის გამრავალფეროვნება, საჭმლის მიღება უნდა ხდებოდეს ყოველ 3-4 საათში. საკვები უნდა იყოს თბილი ან ცხელი. აუცილებელია დღეში 100-200 გრ წვნიანის მიღება მადის გასაუმჯობესებლად.

წყლის დაღვევა ჭამის წინ არ არის სასურველი, რადგანაც ცივი წყალი ამცირებს კუჭის წველის გამოყოფას და აზავებს მას, რაც ცუდად მოქმედებს საკვების გადამუშავებაზე. თუ საკვები ნშრალია, წყლის დაღვევა შეიძლება შუა ჭამისას და ჭამის შემდეგ.

კვების დროს არ შეიძლება ტელევიზორის ყურება, გახეთის კითხვა და სხვაგვარი გართობა.

ბავშვებო, საკვები უნდა მიიღოთ აურჩქარებლად, კარგად დაღეჭოთ; ნაუცბათევად მიღებული საკვები იწვევს კუჭის გადატვირთვასა და დაავადებას. საკვებს მიიღებთ დამჯდარი და არა ფეხზე მდგომი. მადას ადვიძებს ღამაზად და სუფთად გაწყობილი მაგიდა, გემრიელად მომზადებული საკვები.

ჩემო პატარებო, რაზეც ახლა ვისაუბრებთ თუ ყველაფერს შეასრულებთ, თქვენი იქნებით ჯანმრთელი, რომლისუნარიანი, გამძლე და ამტანი, რაც საშუალებას მოგცემთ საზოგადოებას მოემსახურეთ, როგორც სრულყოფილი მოქალაქეები.

ე. ბერი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის განყოფილების ხელმძღვანელი.

# საქართველო საქართველო საქართველო საქართველო



კურორტ ავაღსარის მიდამოები.

საქართველო... ვისაც კი უნახავს ეს კუთხე, არასოდეს დაავიწყდება მისი ბუნებრივი სიმდიდრეები. საქართველოს ბუნებასთან არის დაკავშირებული წარმოდგენა დიდებულსა და ზვიად მთებზე, ნაწსა და თბილ ზღვისპირეთზე. მთელ საბჭოთა კავშირში ასეთ, შედარებით მცირე ტერიტორიაზე, არსად არ ქმნის ამგვარ ჰარმონიას ზღვისპირა სუბტროპიკები და მაღალი მთიანეთის მკაცრი ბუნება. სად შეხვდებით ასეთ კონტრასტებს — თითქმის ტროპიკულ სიცხეებს მთისწინებში, გამყინავ ქარებს ღრუბლებს ზემოთ, მათა მწვერვალებში! კიდევ უფრო საოცარია ათეულ კილომეტრზე გადაჭიმული, მუდმივი თოვლით დაფარული ჭაღარა კავკასიონი და შავი ზღვის უსასრულო, ლაშვარდი სივრცეები.

კავკასია ფლორისტული საგანძურია. აქ დადგენილია მცენარეთა ექვსი ათასზე მეტი სახეობა! მათგან უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიიდან არის ცნობილი. აქ შემორჩენენ ძველი, მესამეული პერიოდის ფლორის წარმომადგენლები. მესამეულ რელიქტებს მიეკუთვნება დიდ კავკასიონზე ტყის წარმომადგენელი ჯიშების უმრავლესობა. საიდუმლოებით არის მოცული და ღრმად შთამბეჭდავი ეს ტყეები — უზარმაზარი, ხუთასწლიანი კავკასიური სოჭები, გამაბრუებელი სურნელის მფრქვეველი პონქტური აზალია, თეთრად მოყვავილე წყავი, იასამინფერ-სოსანი თანაყვავილელები გადაპნტლი ენდემური შქერები.

ზღვის დონიდან 2 000 მეტრზე იწყება მაღალი მთიანეთის განუყოფელი სილამაზე. ბუნების ჭადოსნური პალიტრა აქ შემკულია ყველა ფერითა და მათი კომბინაციებით. ცხენიანი კაცი იმალება აქაურ გიგანტურ ბალახოვნებში. ნიავე ტალღებად აწვენს მთის მარცვლოვნებს, კიდევ უფრო მაღლა ლაღად გაშლილან ალპური ხალიჩები. სრულიად სხვადასხვა ფორმისა და ფერის ბუნებრივი ყვავილებით არის ნაქსოვი ამ ხალიჩების უსასრულო ქარგა. პირდაპირ შეუფასებელია ამ მდელოების ესთეტიკური, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ბუნების ამ უმრავალფეროვანეს პანოს ორგანულად ერწყმიან სხვადასხვა ცხოველები. განსაკუთრებით ძვირფასია ჩლიქოსნები: კავკასიური ირემი, გარეული ღორი, შველი, ჯიხვი, არჩვი. მტაცებელთაგან ბევრია დათვი, გვხვდება აგრეთვე მგელი, ფოცხვერი, ტურა, მელა, წავი, კვერნა, მაჩვი და სხვა. ცხოველთა სამყაროს ჯერ კიდევ შერჩა მისი მშვენება — ჯიქი. მაღალ მთებში ბინირობენ მთის არწივი, თეთრკულა არწივი, სვავი, ორ-

ბი, ფასკუნჯი; ენდემები — შურთხი და კავკასიური როქო.

საქართველოს ბუნების სილამაზე იზიდავს ათასობით ტურისტს — ბუნების მოყვარულს; ზღვისპირა და მთის კურორტები ადამიანთა ჯანმრთელობის ნამდვილი კერაა. მაგრამ, ამასთან ერთად, თითქოს ყველაზე მიუწვდომელ მთიანეთშიც კი სულ უფრო ნაკლებად რჩება ადამიანისაგან ხელუხლებელი ადგილები. ასეთი კუთხეები კი ურბანიზაციის ჩვენს საუკუნეში სხვადასხვა მიზნით სულ უფრო სჭირდება ადამიანს.

ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვის ყველაზე ეფექტური ფორმაა მისი დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღება. ეს რეჟიმი გულისხმობს გარკვეულ მონაკვეთზე ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ ადამიანის გონივრულ დამოკიდებულებას. ასე დაცული ადგილები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იწოდება; არჩევენ ნაკრძალებს, რეზერვატებს, ბუნებრივ, სახალხო, ეროვნულ პარკებს, ალკვეთილებსა და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში ნაკრძალების შექმნის დიდი ტრადიციაა. სად არ შეხვდებით ნაკრძალების სახით დაცულ ტერიტორიას: ტუნდრაში, ტაიგაში, ტყის სხვადასხვა ზონაში, მთებში, ველსა თუ უდაბნოში. საბჭოთა კავშირის 80 ნაკრძალიდან 14 საქართველოზე მოდის. ამიტომ საქართველოს ნაკრძალთმხარესაც უწოდებენ.

ნაკრძალი კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა: იგი „ბუნების ლაბორატორიის“ სახელით არის ცნობილი. აქ მეცნიერები მრავალ სასიკეთო საქმეს აკეთებენ: ესაა ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის შესწავლა, ადამიანის საკეთილდღეოდ ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების ზეგების დადგენა და ა. შ. ნაკრძალების ქსელს, გარდა მეცნიერული და პრაქტიკული დანიშნულებისა, კიდევ ერთი კეთილშობილი მისია აქვს — ეს გახლავთ ალებულ, გეოგრაფიულ ზონაში ყველაზე ტიპური ლანდშაფტების, როგორც „ეტალონის“ დაცვა-შენახვა მისი ხელუხლებელი სახით შენარჩუნების, მეზობელ ტერიტორიებთან შედარებისა და ანალიზის მიზნით. ტექნიკური ცივილიზაციის ჩვენს ეპოქაში კი ამ უკანასკნელს არცთუ მეორეხარისხისგანაი როლი ენიჭება. ნაკრძალებად ცხადდება იშვიათ ან ძვირფას მცენარეთა და ცხოველთა არსებობის ბუნებრივი გარემო, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ნაკრძალის მთელი ფართობი ხელშეუხებელია, დაცულია და შეადგენს სახელმწიფოს



თუშეთი. იალალეზა.

სანაკრძალო ფონდს. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ჩვენისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ნაკრძალებს არ გააჩნიათ სამეცნიერო დაწესებულების ფუნქციები მეცნიერ-მუშაკთა მუდმივი შტატითა და მეცნიერული კვლევის პერსპექტიული გეგმით.

ასეთია ნაკრძალი თავისი ფორმით, შინაარსით, ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს ჯანსაღი ტრადიცია ნაკრძალთა ქსელის შემდგომი გაფართოებისა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ნაკრძალები, ბუნებრივი ლანდშაფტების ეს ეტალონები, ხელმისაწვდომია ძირითადად სპეციალისტებისათვის, მეცნიერ-მუშაკთათვის. მეორე მხრივ კი, მოსახლეობის მოთხოვნილება მდიდარი მცენარეული საფარით დაფარულ, ნადირ-ფრინველებით, ჩანჩქერებით, წყაროებით, ბუნებრივი თუ ისტორიული ძეგლებით დამზვენებულ ადგილებზე, ბუნების წიაღში დასვენებაზე, გართობის, სხეულის გაკაუებისა და სხვა-თა მხრივ, საგრძნობლად გაიზარდა. მაშასადამე, დღის წესრიგში დადგა ისეთი დაცული ბუნებრივი ადგილების შემოღება, სადაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის ორგანიზებული გართობა-დასვენება და ამავე დროს ამ ადგილების ბუნებრივი პირობების დაცვა და პირველყოფილი სახით შენარჩუნება. ამ მოთხოვნილების პრაქტიკულად განხორციელების უკვლავ ეფექტურ ფორმას წარმოადგენენ ე. წ. ეროვნული პარკები.

რა შეიძლება ითქვას ამ უკანასკნელთა შესახებ? ჩვენს პლანეტაზე ამჟამად 20 000 დაცული ტერიტორიაა. მათგან ათასზე მეტი გამოცხადებულია ეროვნულ პარკად. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ ფართობითა და სტატუსითაც. მაგალითად, განა შეიძლება შევადაროთ, კანადის 4,4 მილიონი ჰექტარი ფართობის მქონე ვულბაფალოუ შვეციის, ჰოლანდიისა და თურქეთის ზოგიერთ ეროვნულ პარკს, რომელთა ფართობი რამდენიმე ათეულ ჰექტარს არ აღემატება?

მსოფლიოში პირველი ეროვნული პარკი დაარსდა 1872 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს არის სახელგანთქმული იელოუსტონის ეროვნული პარკი. მას შემდეგ გავიდა ასზე მეტი წელიწადი და დღეს ძნელია დავასახელოთ ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდეს თავისი ეროვნული პარკები.

გერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 1967 წელს უკვლავ მეტი ეროვნული პარკი ჰქონდა ევროპას. მის 24 სახელმწიფოში ითვლებოდა 379 ეროვნული პარკი, მაგრამ თითოეული პარკის საშუალო ფართობია 200 000 ჰა. პარკების რაოდენობის მხრივ (87) მსოფლიოში პირველ ადგილზეა აფრიკა. კაფუეს ეროვნულ პარკს ზამბიაში 2 250 000 ჰა უჭირავს. ეს არის სავანები, სადაც ბინადრობს სპილო, მარტორქა, ბეჭემოთი, ზებრა, ანტილოპა და სხვა ძვირფასი ცხოველები.

1969 წლის მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა 32 ეროვნული პარკი (5,4 მლნ ჰა ფართობით), კანადას — 18 (დაახლოებით 7,6 მლნ ჰა ფართობით), იაპონიას — 23 (1 943 ათასი ჰა ფართობით). ამ პარკებს ყოველწლიურად ესტუმრება 200 მილიონი ადამიანი.

ერთიანი ბუნებრივი ლანდშაფტების (ეკოსისტემების) დაცვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ამ ბოლო დროს დაიწყო საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) ეროვნული პარკების ორგანიზაცია. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები ფედერაციული გერმანიის ეროვნულ პარკთან („ბავარიის ტყე“) მიმდებარე ადგილობრივი ეროვნული პარკის მიერთების ორგანიზაციის თაობაზე, არსებობს პროექტი საერთაშორისო — საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ნაკრძალის „კრამენცის“ შექმნის შესახებ.


დასასრული შემდეგ ნომარში

არნოლდ გეგეჰაჰორი,  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.  
ფოტო ავტორისა.

ოპროს ციხე.

ალიგანის რაიონი.

ზეპარის უღელტეხილი




ქრც ამჯერად, 1977 წლის თებერვალში, თბილისის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაზე შაშში, გააწბილა თავისი გულშემატკივრები: 10 შესაძლებლიდან ცხრანახევარი მოაგროვა და კვლავ ჩემპიონი გახდა.

პირველად რამდენიმე წლის წინათ, პიონერული თამაშის — „შაშის სასწაულის“ კლუბის პრიზზე გათამაშებისას,

რომელიც ქ. ცხაკაიაში გაიმართა. მია მოსიქემ აქაც თავის დაფაზე ყველა მეტოქე დაჯაბნა და პირველი ადგილი დაიჭირა.

1974 წლის მაისში თბილისში მოეწყო სპორტსაზოგადოებათა პირველობა რუსულ შაშში. მიაამ თავის დაფაზე ყველა პარტია მოიგო, ხოლო იმავე წლის ივლისში გამართულ რესპუბლი-



# მაია მოსიქე-პირველი ჩემპიონი

„ალმოაჩინეს“ ამჟამად თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მაია მოსიქე.

ამბავი ასე დაიწყო:  
...მე-100 საშუალო სკოლა... მიაა მაშინ ამ სკოლაში სწავლობდა. აქ მოსულმა შაშის ერთმა ძველმა ოსტატმა ბავშვებთან ერთდროული სეანსი მოაწყო. პიონერთა ოთახში შაშის თამაშის ბევრი მსურველი შეიკრიბა. 30 დაფაზე გაიმართა სეანსი. სტუმარმა 25 მოიგო, 4 ყაიმით დამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო ცუგრუმელა გოგონასთან. ეს გოგონა მაია მოსიქე გახლდათ. ამ დღიდან მაია მოსიქე გახდა წვევრი პიონერთა სასახლის შაშის სექციისა, რომელსაც ვაჟა ნინუა ამყვადინებდა.

1974 წლის საქალაქო შეჯიბრებაში „შაშის სასწაულის“ კლუბის პრიზზე მიაამ თავის დაფაზე ყველა პარტია მოიგო და ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ მისმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ „შაშის სასწაულის“ კლუბის პრიზზე შეჯიბრებაში,

კურ პირად პირველობაზე რუსულ შაშში მე-2 საპატიო ადგილზე გამოვიდა.

1974 წლის ოქტომბერში თბილისის ჩემპიონატზე ქალთა შორის შაშში 12 წლის გოგონა მაია მოსიქე პირველად გახდა თბილისის ჩემპიონი.

1975 წლის თებერვალში გაიმართა თბილისის პირადი პირველობა, სადაც მიაამ მხოლოდ უარესი კოეფიციენტის გამო დათმო ჩემპიონობა და მე-2 ადგილზე აღმოჩნდა. ასევე მე-2 ადგილზე გამოვიდა იმავე წლის ნოემბერში მოწყობილ საქართველოს პირველობაზე, სადაც ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

1976 წელი მიაა მოსიქის ჩემპიონობის წელიწადია. ჯერ იყო და, აპრილში სპორტსაზოგადოებებს შორის თაისის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიჭირა, შემდეგ — ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში საერთაშორისო შაშში, როდესაც პირველად ითამაშა 100-უჯრიან დაფაზე და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. იმავე წლის ივლის-

ში ქ. კასპში, სადაც თავი მოიყარეს საქართველოს ყველა კუთხის ჩემპიონებმა, გამოცდილმა მოშაშე ქალებმა, მიაამ კვლავ ღირსეულად გაიმარჯვა. საქართველოს 1976 წლის ჩემპიონობას საერთაშორისო შაშში რუსული შაშის ჩემპიონობა დაუმატა.

მის თამაშზე შემართებასა და დიდ მომავალზე ბევრი დაიწერა ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში... შაშის მოყვარულებს, სპეციალისტებს, პიონერთა სასახლის კოლექტივს სჯერათ, რომ მაია მოსიქე მალე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სარბიელზეც თავის სიტყვას იტყვის.

ს. ველთაური,  
ოსტატობის კანდიდატი.



პლასტმასის პატარა ბოთლი, რომელშიც ზეთი ესხა, შეიძლება ქლიბის ტარად გამოიყენო.


კარტოფილის საფცქენელი უბრალო რკინის

დანა ხელმარჯვე ოსტატმა შეიძლება სულ სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენოს. დახედე ამ ნახატს და მიხვდები, რომ წრისებრი ზედაპირის შემოსალამაზებლად უკეთეს ხელსაწყოს ვერც კი ინატრებ.



როცა ხელთ არა გაქვს დიდი ბურღი, საჭირო ზომის ნახვრეტი შეიძლება ერთად შეკრული სამი პატარა ბურღით გაკრა. ეს ბურღები ჭერ მავთულით უნდა შეკრა და შემდეგ დრელის ხაზში მოამწყვდიო. ოღონდ გახსოვდეს, ასეთი ხერხით მხოლოდ რბილი საგნების გახვრეტა შეიძლება (ხე, პლასტმასა).



ბეწვახერხს შეგიძლია ორი პირი გაუკეთო და




ფიცარი ერთდროულად ორ ადგილზე გადახერხო.

ელექტროსანთებელას თუ მაგნიტის სასხლეტს მოარგებ (იყიდება რკინაკავეულის მაღაზიებში), ელექტროსანთებელას გაზის ქურაზე სადაც გნებავს, იქ მიამაგრებ.

კარისქვეშა ღრეჩოდან ოთახში ქარი არ შემოუბერავს, არც სუნი და ხმაური შემოვა, თუ კარს ჩამოხსნი და ქვემოდან მაულის ნაჭერს მიაკრავე.







**პიონერული ხორგუაშვილი**

**წითელი ხარი**

„პიონერის“ მკითხველებმა იციან, რომ 1975 წელს ჩვენს კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებთა შორის იყო მწერალ ვიქტორ ხორგუაშვილის მოთხრობა „წითელი ხარი“. მოთხრობა გაგრძელებებით დაიბეჭდა და ბავშვების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ნაწარმოებში ასახულია ქართლის ერთი სოფლის ახალგაზრდების ცხოვრება ომის დროს. ავტორი თვითონ იყო იმ ამბების მონაწილე, მძაფრად განიცადა ომისდროინდელი სოფლის ჭირვარამი, ყმაწვილური სიხარული, ყოველივე, რაც იმ მძიმე წლებში ხდებოდა. ამიტომაც, მოთხრობაში მეტად დამაჯერებლად, მსუყე ფერებით არის

დახატული ადამიანთა ხასიათები, გარემო, კონფლიქტები. მკითხველს, გარდა სიუჟეტური მიმზიდველობისა, უეჭველად მოხიბლავს ლაღი, დაუძაბავი თხრობა.

„წითელი ხარი“ ახლახან „პიონერის“ ბიბლიოთეკის“ სერიით ცალკე წიგნად გამოვიდა.

**ავთანდილ ბურაბინია**

**სიმღერა უკვდავებაზე**

ა. გურგენიძის ეს წიგნი ორი ლირიკული პოემისაგან შედგება. „პიონერულს ვუკრავ საყვირს“ და „მარადიული ცეცხლი, ანუ სიმღერები უკვდავებაზე“. ამ პოემათაგან ერთმა — „პიონერულს ვუკრავ საყვირს“ ჩვენს კონკურსზე პრემია დაიმსახურა. ა. გურგენიძეს თქვენ ალბათ სხვა წიგნებიდანაც იცნობთ. იგი კარგად გრძნობს ბავშვების გუნე-

ბა-განწყობილებას, ზედმიწევნით იცის ბავშვის ფსიქოლოგია. ტყუილად კი არ ამბობს პოეტი:

პიონერულს ვუკრავ საყვირს, თქვენთვის ნაცნობ ნმაზუო...

მისი ლექსები და პოემები გამოირჩევა ამაღლებული ტონით, მეტად თავისუფლად, ძალდაუტანებლად, ლაღად იკითხება.

ასე რომ, „პიონერის“ ბიბლიოთეკამ“ კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მოგიძღვნათ.

**მერი ბოლქვაძე**

**მზის კუდრაჭები და პატარა ღრუბელი**

მერი ბოლქვაძის მოთხრობები ხშირად იბეჭდება ქართულ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. ამ რამდენიმე ხნის წინათ გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად დასტამა მისი მოთხრობების კრებული „მზის კუდ-

რაჭები და პატარა ღრუბელი“.

ეს კრებული მ. ბოლქვაძის მესამე საბავშვო წიგნია. მწერალი მცირე მოცულობის მოთხრობებში ცდილობს ნორჩ მკითხველებში აღძრას ერთმანეთის სიყვარულის, პატივისცემის, გატანის და ნდობისა და თავგანწირვის მაღალი გრძნობა.

ავტორი აგრეთვე კიცხავს ყოყლოჩინებსა და უდარდელეებს, ასწავლის მათ თავაზიანობასა და ბუნების გაფრთხილებას.

**ვაჟა გიგაშვილი**

**ნადირობა ჩონ-ტაშში**

ვაჟა გიგაშვილი არაერთი საინტერესო მოთხრობის ავტორი გახლავთ. ახლახან გამოსულ წიგნში — „ნადირობა ჩონ-ტაშში“ იგი შთამბეჭდავად, დოკუმენტური სიზუსტით აგვიწერს „მთამსვლელთა ქვეყანაში“ — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ



**მალარიაზე შეტევა ბრძოლაში**

ინდოელი მეცნიერები დაინტერესდნენ წყლის ხოჭოს ერთ-ერთი სახეობით, რომელიც ხალხით შეექცევა მოსკიტების ჭუპრებსა და კვერცხებს, რითაც ხელს უშლის

მალარიის გავრცელებას. ამჟამად ინდოეთში გეგმავენ სპეციალური ფაბრიკის მშენებლობას. ფაბრიკაში დიდი რაოდენობით მოაშენებენ ამ ხოჭოს. ინდოეთში აღმოაჩინეს აგრეთვე სოკო, რომელიც ბრინჯის ყანებში იზრდება. ეს სოკოც მოსკიტების მტერია. მის ახლომასლო მოსკიტების ჭუპრები სწრაფად იხოცებიან.


**მოსწავლეობა ბამოიგონას**

ვარშავაში შეიქმნა ნორჩ გამოგონებელთა ბიურო. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეები რთული ამოცანის ისეთ მარტივ გადაწყვეტას აგნებენ, რაც მოზრდილ სპეციალისტებს აზრადაც არ მოუვთ. ახალ ბიუროში უკვე ათასზე მეტი გამოგონებაა რეგისტრირებული, მაგალითად, ვიბრაციული მადვიძარა საათი ყრუ-მუნჯებისათვის, საბონი — წყალში რომ არ იძირება, მოდუნული ღურსმნის გამსწორებელი ხელსაწყო. ამ ნამუშევრების დიდი უმრავლესობა

რეკომენდებულია პრაქტიკული გამოყენებისათვის, მათ შორის — მოსწავლე ანგეიკოვალსკის ხელსაწყოც, რომელიც სიგნალს იძლევა, აბაჯანში წყლის ტემპერატურას საჭირო დონემდე არ მიუღწევიაო.

**ხვრინვა თურხი დაშლაველია**

ფლორიდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი მარკ ბულვერი მსოფლიოში ალბათ ყველაზე დიდი სპეციალისტია ხვრინვის პრობლემის შესწავლის მხრივ. ამ სწავლულის გამოანგარიშებით, კაცობრიობის ერთი მეგრედი ძილის დროს ხვრინავს. ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ხვრინვას არ შევლის არც ტექნიკური, არც ფარმაცევტული საშუალებები, არც პიპნოზი. ასე დაასკვნა პროფესორმა ბულვერმა მას შემდეგ, რაც რამდენიმე ათასი საათი უსმინა სხვადასხვა ადამიანის ხვრინვას.



# სამუშაო ტექნიკა

ყურადღებამ, სწავლამ!

ულამაზეს მხარეში, ტიანშანში გადამხდარ ამბებს.

1966 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით სასიმალო ფეხბურთის მოაწყო ტიანშანში. სწორედ მათთან, ჩონ-ტანის დამხმარე ბანაკში გაატარა ვაჟა გიგაშვილმა თვეანახევარზე მეტი...

ამ ხნის განმავლობაში, როგორც ამას თვით ავტორი ამბობს, იგი ისეთი მფრთხალი და მოუხელთებელი გარეული ცხოველების გვერდით ცხოვრობდა, როგორც არიან მაღალი მთის გარეული ვაცები და ტიანშანური ჯიხვები; მას საშუალება ჰქონდა არა მარტო ენადირა, არამედ დაჰკვირვებოდა კიდეც მათი ცხოვრების წესსა და წიხს.

ნადირობათა და ნაირნაირ თავგადასავალთა მოყვარულთ ნამდვილად მოეწონებათ „ნადირობა ჩონტანში“.

წიგნი დასტამბა გამომცემლობა „ნაკადულმა“.




თუ დარბაზში მისასვლელად დრო არ გყოფნის, ადგილი და ოთახში ივარჯიშე. კარგად მოიწადინე, ზედ ფანტაზიაც წაახმარე და შინ იმდენ სატანვარჯიშო „იარაღს“ აღმოაჩინე, რომ თვითონაც გაგიკვირდება. აი ასეთი „იარაღით“ შესრულებული რამდენიმე ვარჯიში:

1. აიღე პირსახოცი და გამართული ხელები ჩასჭიდე ისე, რომ ხელები მხრებზე განივრად გექიროს. ხელები ჯერ წინ გამართე, მერე მალა ასწიე, ბოლოს უკან გადაიტანე, გაიზნიქე და ჩაისუნთქე. შემდეგ ხელები იმავე მიმართულებით საწყის მდგომარეობას დაუბრუნე და ამოისუნთქე.

2. ფეხები მხრების სიგანეზე დადგი. ხელებით გაჭიმული პირსახოცი მალა ასწიე. ფეხების მოუხრელად ტანი ჯერ ერთ მხარეს გადახარე, მერე მეორე მხარეს. გადახრის დროს ჩაისუნთქე, გამართვისას ამოისუნთქე.

3. იატაკის საწმენდ ჯოხს ხელები მხრების სიგანეზე ჩასჭიდე და თარაზულად გააჩერე. მოხარე ფეხი, ზედ გადალაჯე და შემდეგ უკან გადმოდგი. ეს მოძრაობა მეორე ფეხითაც გააკეთე. საწყის მდგომარეობისას ჩაისუნთქე, გადალაჯებისას — ამოისუნთქე.



## მითხარი, როგორ წავხარ...

ფრანგი მკვლევარი პიერ ლავიოში, რომელმაც შეისწავლა ადამიანთა სხვადასხვა პოზა ძილის დროს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავიანთი პროფესიით უკმაყოფილონი პირქვე წვანან, ხოლო გულადმა მწოლიარენი ძლიერი ნებისყოფისა და ცხოვრებით კმაყოფილი პიროვნებები არიან. ვისაც მოკუზულად ან ბალიშჩახუტებულს სძინავს, ნაღვლიანი განწყობილებისაკენ აქვს მიდრეკილება და სათუთ მოპურობას მოითხოვს. ღრმა პესიმისტები საბანს ივარებენ თავზე...

## უვალაზა მძიმე მებრძოლი


1975 წლის ნოემბერში იაპონიის ზღვაში, კუნძულ ტალასიმის მახლობლად დიდი მეტეორიტი ჩამოვარდა.

ამას წინათ ამ ციური სხეულის ფოტოსურათი გადაიღეს და ჩაიხატეს, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა მის გაბარიტებზე მსჯელობა. იაპონელი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მეტეორიტი უკვლავ დედია კაცობრიობისათვის დღემდე ცნობილ მეტეორიტთაგან. მისი წონა ასი ტონა მაინც იქნება.

## მიწისქვეშა ენერჯია

საფრანგეთში დაიწყო გეოთერმული წყაროების გამოკვლევა. პარიზის მიდამოებში 1800 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ცხელი წყლის უზარმაზარი აუზი, რომელსაც დაახლოებით იმდენი ენერჯიის მოცემა შეუძლია, რასაც აშუამდ საფრანგეთის ყველა ელექტროსადგური იძლევა. დიდი მიწისქვეშა აუზები აღმოაჩინეს აგრეთვე საფრანგეთის სხვა ადგილებშიც, მაგალითად, ელზასის დაბლობში. პარიზის მიდამოებ-

ში აღმოჩენილი წყლის ტემპერატურა ცელსიუსით 60°-დან 75°-მდე მერყეობს, ელზასისა კი 120°-მდე აღწევს.





სათვის შეიძლება ხელი ჩასწიროს რომ იმეს. ვარჯიში შეიძლება გასართულო — ორის ნაცვლად ცალ ფეხზე აიწიე-დაიწიე.

4. იატაკის საწმენდი ჯობი შვეულად დააყენე და ქამრის სიმაღლეზე მარჯვენა ხელი ჩასჭიდე. ფეხის თითებზე ჩაბუქნე, ჩაბუქნის დროს მარცხენა ხელი წინ და მალა ასწიე და ამოისუნთქე. საწყისი მდგომარეობის დროს ჩაისუნთქე.

5. სავარძლის კიდებზე ჩამოჯექი, საზურგეს მიეყრდენი და ხელები ზემოდან მოჰკიდე, ფეხები გამართე და იატაკს შეახე, შემდეგ გამართული ფეხები რაც შეიძლება მალა ასწიე, ნელ-ნელა დაუშვი ძირს. ფეხების აწევისას ამოისუნთქე. ჩამოშვებისას — ჩაისუნთქე.

6. ხელებით სავარძლის სახელურებს დაეყრდენი, ფეხები მოხარე, უკან გაატარე და სავარძელზე დაიჩოქე, მიეყრდენი საზურგეს ზურგით

და ჩაისუნთქე, შემდეგ ფეხები ძირს დაუშვი და ამოისუნთქე.

7. მარცხენა ხელით სკამის საზურგეს დაეყრდენი და გამართული მარჯვენა ფეხი წინ და უკან გააქანე. ახლა ეს მოძრაობა მეორე ფეხით შეასრულე.

8. იატაკზე გულადმა დაწექი. ფეხის თითები კარადას ამოსდე, ხელები კეფაზე შემოიწყვე. ფეხების მოუხრელად წამოჯექი და ისევ დაწექი. საწყის მდგომარეობაში ჩაისუნთქე, როცა მოიხრები — ამოისუნთქე.

9. იატაკზე ხის კვილო (კუბურა) დადე და ზედ ფეხის თითებით შედექი ისე, რომ ქუსლებით იატაკს დაეყრდნო. ფეხის თითებზე აიწიე, შემდეგ ნელ-ნელა დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას. წონასწორობით

10. სახტუნელას მსგავსად ხელში თოკი დაიჭირე. ასეთი სახტუნელათი შეიძლება ათასნაირად იხტუნო, ოღონდ ყოველნაირი ხტომა ფეხის თითებზე უნდა შეასრულო და სახტუნელა არა მარტო წინ, არამედ უკანაც ატრიალო.

11. ვარჯიში დაამთავრე. თავზე წიგნი დაიდე და ოთახში გაიარ-გამოიარე. ჭერ მშვიდად იარე, შემდეგ ფეხის თითებზე შედექი, ბოლოს ქუსლებით გაიარე.



**საკითხავი**

- მ. ხარბიანი — ვაჟს უსაქმური არ უყვარს (ნარკვევი) გარეკ. 1 გვ.
- ლ. კოდვრიძე — „დამთავრდა... სმოლნი“ (მოთხრობა, თარგმანი ს. ბეჩოელისა) 4
- მ. ჩხიმიძე — მერცხალი ვარ (ლექსი) 4
- ნ. დარსაველიძე — გაზაფხული (ლექსი) 5
- მ. მარაბიშვილი — თრიალეთის ციალი (მოთხრობა, გაგრძელება) 6
- კონკურსი — „ოქტომბერი ჩვენს გულებში“ 10
- ზ. კუხიანიძე — ბიჭი, რომელსაც ჩურჩხელა სანთელი ეგონა (მოთხრობა) 11
- ჩვენთან სტუმრად არის ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

საბავშვო უფროსი „ბაღდირგანი“	13
შევეკრიბოთ ხალხური საუნჯე	20
ანბი	22
ნ. ფაილძე — შრომას ნუ დაიზარებთ! (ნარკვევი)	23
საინტერესო სიახლენი	24
მ. გური — მოსწავლის კვება (წერილი)	26
ა. გეგუშვილი — ეროვნული პარკების პრობლემა საქართველოში (წერილი)	27
ს. ველთაური — მაია მოსიძე — კვლავ ჩემპიონი (წერილი)	29
საზრიანის ხელში	29
ახალი წიგნები	30
ჯადოსნური სარკე	30
ცხრაკლიტული	30

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ელშარდ ამბოკაძისა.



საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შაღია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭორია, ზურაბ ლეშაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჩანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შაფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 24/II-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-77 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი დურცელი 4. საბარცხვო-სავანომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 691. ტირ. 146.000. უფ. 06356.

უახი 20  
კაპიკი

რედაქციის მიერ გამოცემული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




**შვეულად:** 1. შინაური ცხოველი. 2. ქალის სახელი; 3. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი; 4. ფერი; 6. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 7. ზღვის ფრინველი; 8. ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ადგილზე; 11. სახელმწიფო აზიაში; 12. უკრაინის ქალაქი; 13. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის გვარი; 18. ი. ჭავჭავაძის ლექსი. 19. ქალაქი სსრ კავშირში; 20. რევოლუციური კრებისერი; 24. მდინარე სსრ კავშირში; 25. პირველი რევოლუციური გაზეთი; 28. საუკუნის მშენებლობა.

**თარბულად:** 2. მდინარე წინა აზიაში; 4. ხის ჯიშში; 5. განთიადი; 8. ქვეწარმავალი; 9. ტროპიკული მცენარე; 10. ყვავილი; 14. თმის საღებავი; 15. გარეული ცხოველი; 16. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 17. კაცის სახელი; 21. სარბიელი; 22. მდინარე საქართველოში; 23. საბერძნეთის ქალაქი; 26. მდინარე სსრ კავშირში; 27. რეაქტიული ძრავიანი საფრენი აპარატი; 29. კუნძული წყნარ ოკეანეში.

დავით ბარჯაძე,  
ქარელის რაიონის დაბა აგარის საშუალო სკოლა.

**კვალნი გზაზე**

აბა თუ მიხედვით, ამ ლია მოტოციკლის საბურავის ანაბეჭდი? რვა ანაბეჭდიდან რომელი ანაბეჭდი?



**ამოცანა**

ხახასა ტევრში რიურაუზე უსტვენდა წვეილი ბუღბუღი; საკუთარ სახელს იძახდა; ორჯერ იმდენი გუგული; სამი ტოროლას წკრიალი ცის ლაუვარდიდან აღწევდა; ბაღჩაში შაშვი ქახქახით ტოტს აკვანივით არწევდა.

გალიებიდან ისმოდა იაღონების ჰანგები, ისინი გახლდნენ უველაზე ოცი პროცენტით ნაკლები. ცასა და ღელამიწაზე იღგა გალობა ნეტარი. იმა ფრინველთა სიმრავლე გამაგებინა ნეტავი.


შ. ამირანაშვილი.

**გამოცანები**

1  
მკერდს შვილები მუავს ჩაკრული, ტანს ლურჯი ხმლები მასხია. კარგად დაფიქრდით, ბავშვებო, აბა, ვინ იტყვის, რა მქვია?


2  
შვიდი ტუბილი ამობილია, რიგრიგობით იხოცება, რა იქნება? ბოლოს ყველა რიგრიგობით გაცოცხლდება. ვიძმორ ლეშაგა.

**თავსატეხნი**



ამ უჯრედებში ჩაწერეთ საქართველოს მდინარეთა სახელწოდებები ისე, რომ წითელ უჯრედში მიიღოთ იმ თვის სახელწოდება, როცა გაიმარჯვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ.

დალი მელქუაშვილი,  
სოფ. ქისტაურის ერისთავის სახელობის საშუალო სკოლა. IX კლასი.



რამდენი პატარა თევზია მოთავსებული ამ დიდ თევზში? სწრაფად, დაუთვლელად უპასუხეთ შეკითხვას და შემდეგ შეამოწმეთ.



ბ 637/65

ИНДЕКС 76157

ქართული  
ზიზლიროთუქს



ნახატები  
თამუნია  
შანშიაშვილისა,  
4 წლის.



ამ დაბავდილი  
ნახატები  
გამოფანილია  
გავრვთა  
ხელოვნების  
მუზეუმი.

